

პასტანბ შანკოტაკე

**მინიატურების  
აღღუმი**

თბიღისი  
2009

**ავტორისაგან**

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მოღვაწეობს ლიტერატურულ სფეროში და ქმნის ამითუიმ ჟანრის ნაწარმოებებს, გვერდს ვერ აუვლის ისეთ შემთხვევებს, როდესაც საჭიროა მოკლედ და ლაკონურად (მინიატურის სახით) გადმოსცეს თავისი ჩანაფიქრი.

ისიც ცნობილია, რომ მოკლედ და ლაკონურად წერა მოითხოვს მეტ ფიქრს, ბევრ დროს და რაღა თქმა უნდა დიდ ოსტატობასაც, რათა არაფერი დაიკარგოს და იმავდროულად ჯეროვნად წარმოჩინდეს სათქმელი.

ალბათ, ყველაზე პატარა მოცულობის (ზომის) ლექსად (მინიატურად) შეიძლება მივიჩნიოთ ორტაეპიანი სტროფი. რაც შეეხება პროზაულ ნაწარმოებს, აქ მიძნელებდა მოცულობის ზღვარის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ნაწარმოებს ეწოდოს მინიატურა.

ჩემი მოკრძალებული მოღვაწეობაც ვერ ასცდა მცირე ზომის ნაწარმოებების შექმნის შემთხვევებს და ეს წიგნი წარმოუდგენს მკითხველს სწორედ მათ მცირე ნაწილს.

**რედაქტორი: დარეჯან ჭანკოტაძე**  
**ავტორის ფოტო: მამუკა ეგნატაშვილისა**  
**კომპიუტერული**  
**უზრუნველყოფა: ლია პავლიაშვილისა**

ამას წინათ დაიდგა მემედ აბაშიძის ძეგლი და მადლობა ღმერთს, რომ ისიც ცხენზე არ შეასკუპეს, თორემ, რა გამოდის – გორგასალი ცხენზე, დავით აღმაშენებელი ცხენზე, ერეკლე ცხენზე, სააკაძე ცხენზე, ბაგრატიონი ცხენზე და ვინ იცის, კიდევ ვის უმზადებენ ცხენს სახელგანთქმული ჩვენი მოქანდაკეები და არქიტექტორები.

რა გახდა ეს ცხენი, ნუთუ მის გარეშე არ შეიძლება ქანდაკებაში წარმოვაჩინოთ ისტორიული პიროვნებების ღირსებები და დამსახურებები?! კი, გასაგებია, რომ ცხენი იყო ტრანსპორტირების ძირითადი საშუალება და ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილეც, მაგრამ რა, აუცილებელია მაინცდამაინც ცხენზე ამხედრებულები გამოვაქანდაკოთ ჩვენი საამაყო წინაპრები?! ალბათ, მეტი ფანტაზია და მეტი გამჭრიახობაა საჭირო, თორემ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება კლინტონი, ელცინი, გორბაჩოვი, შევარდნაძე და სხვა თანამედროვე – თვითმფრინავში ან მატარებელში ჩამჯდარი გამოაქანდაკონ (თუ მათ საერთოდ აღირსეს ასეთი პატივი), არადა, რა გამოლევს ვარიანტებს. მთავარია, თურმე, ცხენზე შესვა მეფე ან სხვა ვინმე. მერე იწყება, რაც იწყება: მარჯვენა ხელი ხან მალლა, ხან დაბლა, ხანაც წინ. ერთი ამდენი ვარიანტი გამოჩნდება თუ ხელში ხმალს დავაჭერინებთ. ახლა იგივე გავიმეოროთ მარცხენა ხელით – უკვე თორმეტი ვარიანტი გამოჩნდა. ახლა ხმალი ქარქაშში ჩავდოთ, მერე ნახევრად ამოვწიოთ – კიდევ ორი ვარიანტი. ახლა ცხენი დავაყენოთ ოთხ ფეხზე, მერე სამზე, მერე ორზე და ალბათ ერთზეც (ხომ იქნება მომენტი, როდესაც ჭენების დროს ცხენი ერთი ფეხით ეხება მიწას!?) – ეს კიდევ ოთხი ვარიანტი. ახლა მხედარს დავაზურთო ჩაფხუტი ან დავადგათ გვრიგვინი და ა.შ. და ა.შ. მოკლედ, ცხენთან კომპოზიცია ამოუწურავია და თუ ჩვენმა სახელგანთქმულმა მოქანდაკეებმა არ გამოავლინეს შემოქმედებისა და ფანტაზიის მეტი უნარი, ალბათ საქართველო

დაიფარება ქვაში და ბრინჯაოში განსახიერებული ცხენკაციანი (ან კაცცხენიანი) ძეგლებით და ქანდაკებებით.

ცხენის წინააღმდეგი არ ვარ.

წინააღმდეგი ვარ მოსაწყენი ერთფეროვნების და თუ გნებავთ – პრიმიტივიზმის, მითუმეტეს, რომ ქანდაკება, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, დიდ შესაძლებლობებს აძლევს მოაზროვნე (დიახ, მოაზროვნე) ხელოვანს.

## მეორე კლასი

პატარა ლელა დაჰყავდათ საბავშვო ბაღში და იმის გამო, რომ მისი მშობლები მუშაობას ამთავრებდნენ საღამოს ექვს საათზე – ლელა ოთხი საათის შემდეგ გადაჰყავდათ ე.წ. გახანგრძლივებული რეჟიმის ჯგუფში.

ლელას შეკითხვაზე თუ სად მიგყვართო, აღმზრდელები პასუხობდნენ „მეორე კლასში“.

„მეორე კლასში“ ძალიან მოსწონდა ლელას. იქ უფრო მეტი და საინტერესო სათამაშოები იყო და სიმშვიდეც სუფევდა.

ერთ დღით, როდესაც ლელა დედამისთან ერთად მიდიოდა საბავშვო ბაღში, ხვეწნით მიმართა დედას: „ძალიან გთხოვ დედიკო, მიმიყვანე პირდაპირ „მეორე კლასში““.

## პრიმიტივიზმი თუ ფანტაზიის დეფიციტი?

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამათუიმ ობიექტისთვის, საგნისთვის, მოვლენისათვის სახელწოდების შერჩევას, მონათვლას. იგი უნდა გამოხატავდეს „ნათლულის“ ფუნქციონირების არსს, დანიშნულებას, კუთვნილებას, მიზანს, მოქმედების სფეროს, მისწრაფებას, იმედს და ა.შ.

ჩვენი ქალაქის მაგალითზე აღვნიშნავ, რომ „ნათლულთა“ შორის ზომაზე მეტად არის და იყო გავრცელებული სახელწოდება „დილა“.

- სამრეწველო-სამეცნიერო გაერთიანება (იყო)
- სპორტული მაღაზია (იყო)
- კაფე კომბინატის დასახლებაში (იყო)
- ფეხბურთის კლუბი
- წიგნების მაღაზია
- სუპერმარკეტი
- საფეხბურთო სკოლა
- ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი (იყო)
- ავტოტექნიკოსთა სახურების სადგური და სხვა.

მჯერა, რომ ჩვენ ყველა ერთად პატივს ვცემთ ლექსს სახელწოდებით „დილა“ და მისი ავტორის ხსოვნას, მაგრამ ალბათ „ნათლიების“ მხრიდან მეტი ფანტაზიაა საჭირო და მეტი „შემოქმედება“.

\* \* \*

ჭიანჭველას ვურჩევდი: „ნუ ააცოცდები ადამიანს, თორემ სიკვდილი გარანტირებული გაქვს“.

მერე ეს ადამიანი იტყვის – ისეთი კეთილი და გულთბილი ვარ, რომ ჯერ ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიდგამსო ფეხი. კი, იტყვის. ჩვენ ყველა ასე ვამბობთ საკუთარ თავზე.

საწყალი ჭიანჭველები.

**წიგნი**  
**„წიგნია საწყისი ყოველი ცოდნისა“**  
(სტეფან ცვაიგი)

დღევანდელ საქართველოში 100-ჯერ მეტი (თუ ვინმეს აინტერესებს – დადგეს და იანგარიშოს) წიგნი იწერება და ისტამბება, ვიდრე 50-60 წლის წინ, მაგრამ, ასევე 100-ჯერ ნაკლები ადამიანი კითხულობს წიგნს, ვიდრე მაშინ.

სავალალო ფაქტია, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. იქნებ, სწორედ აქ იმალება ჩვენი ზოგიერთი უბედურების, ზოგიერთი მიზეზი?!

უწიგნურობა ისეთი სიბნელეა, რომელსაც მხოლოდ წიგნით თუ გაანათებ!

\* \* \*

გორის საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის სამსახურს (სხვა ქალაქებში როგორ არის, არ ვიცი), როდესაც აძლევთ სალაპარაკოდ შეკვეთას – თავაზიანად გპასუხობენ: „მიღებულია, დაელოდეთ“.

პირველი სიტყვა გასაგებიც არის და დამამშვიდებელიც. რაც შეეხება მეორე სიტყვას („დაელოდეთ“), მისი თქმა მგონი ზედმეტიც არის და გაუგებრიც.

როგორ თუ უნდა დაველოდო, აბა რას ვიზამ, სასეირნოდ წავალ?!

\* \* \*

ამბიციურ ადამიანებს დიდი ზიანის მოტანა ძალუძთ, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის.

ღმერთმა გვაშოროს ასეთი ადამიანების სიმრავლე.

**საბრალო მემწვანილები**

გინახავთ ვინმე ისეთი, ვინც ბაზარში, ან სხვა სავაჭრო ობიექტში, ძვირადღირებული პროდუქტის (ხორცი, თევზეული, ყველი და ა.შ.) გამყიდველს სთხოვდეს 5 თეთრი დამიკელიო?! – არა, ასეთს ვერ ნახავთ. სამაგიეროდ, ისეთებს კი ბევრს ნახავთ, რომლებიც ათჯერ მაინც სთხოვენ მწვანილების გამყიდველ ქალებს, რომ კონაზე (რომელიც 15-20 თეთრად იყიდება) 5 თეთრი მაინც დააკლებინონ, თუ არადა, ასევე ათჯერ შემოივლიან მთელ ბაზარს 5 თეთრით იაფი მწვანილის მოძებნისა და შეძენის მიზნით.

საწყალი მწვანილის გამყიდველი ქალები! მათ ხომ ხშირად 25-30 პროცენტის დაკლებას სთხოვენ. აბა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდება ის მყიდველი, რომელიც თევზეულზე მოითხოვს გასაყიდი ფასის 25-30 პროცენტით ნაკლების გადახდას?!

ასეთია ადამიანების (უმრავლესობის) ბუნება.

ეროვნული ვალუტის ერთ და ორთეთრიანები თავის როლს რომ თამაშობენ, მაშინ შეიძლება ადვილად მორიგებულიყვნენ მწვანილის მყიდველი და გამყიდველი, მაგრამ ამ ერთეულების ჯართადქცეული დიდი მასა უძრავად განისვენებს ბანკების სეიფებში და მათ შესახებ, დიდი ხანია, არავის არაფერი აინტერესებს.

\* \* \*

ალბათ მსოფლიოში უსამართლობის მოზღვავებამ და ბიუროკრატიზმის გაფურჩქნამაც შეუწყო ხელი იმას, რომ რეალობად იქცა სანოტარო კანტორებისა და ნოტარიუსების წარმოუდგენელი სიმრავლე, თორემ ასიოდე წლის წინ კაცურ სიტყვასაც ჰქონდა ფასი და უღვაშის ღერსაც – წონა.

## ასოცირებული ტკივილი

ჩემში საოცარ და დამთრგუნავ განცდას იწვევს ქუჩებში და მოედნებზე, მცირე და ხანმოკლე წვიმის შემდეგ, დარჩენილი მშრალი ლაქები, სადაც წვიმის გადაღებამდე იდგნენ მანქანები.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქართველების მიერ იძულებით მიტოვებული, ამჟამად კი ნასახლარებად და ნასოფლარებად ქცეული ადგილები მიღვას თვალწინ და გულზე მაწევს უმძიმესი ტკივილი.

\* \* \*

ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სამართლიან და ობიექტურ ფაქტორებზე დაყრდნობილი კრიტიკა, როგორც მწარეც არ უნდა იყოს ის – ემსახურება ადამიანის (კერძოდ) და საზოგადოების (ზოგადად) სრულყოფას და განვითარებას.

## ლანჩხუთური

„რეთია“ – რამდენია.

„მაგიორჩი“ – სამაგიეროდ, სანაცვლოდ, ნაცვლად.

„ენა არ უთქვამს“ – ხმა არ ამოუღია, არაფერი უთქვამს,  
არ დაულაპარაკია.

„თუ დარჩა“ – თუ დაგიხვდა, თუ მოხდა, თუ განხორციელდა,  
თუ შესრულდა.

„კვირე“ – კვირა.

„ჩამოართმინე“ – ჩამოართვეს.

1965 წ.

\* \* \*

ძალიან შორს დგას კულტურის, თუნდაც ელემენტარული, კონდიციებიდან ის ადამიანი, რომელიც თავის თავს უფლებას აძლევს იცინოს სამგლოვიარო პროცესიაზე.

\* \* \*

გზა ისეთი ფენომენია (მითუმეტეს ცხოვრების), რომ ზოგიერთ შემთხვევაში და ზოგიერთ მონაკვეთზე შესაძლოა გატაროს მღვერის შემხვედრი მიმართულებითაც კი.

\* \* \*

ვინც სამართლიან კრიტიკას ვერ ეგუება და მტკივნეულად რეაგირებს მასზე – იგი პირველ რიგში საკუთარი თავის მტერია.

## ქართული ენა

რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, არ ვიცი ჩემი სიტყვებია (თითქმის მივიწყებული), თუ სხვისი. თუ ავტორი სხვა არის, ბოდიშს ვიხდი, რომ მისი სახელის მოხსენიების გარეშე ვიყენებ სიტყვებს: „ნებისმიერი ენის სიღიადე და სიმშვენიერე მის სიმარტივეშია“-ო. ბოდიშის გარდა მაღლობასაც მოგახსენებ ამ სიტყვების ავტორს.

გამოდის, რომ ქართული ენა მართლაც არის ღიადი, მშვენიერი და ლამაზი ენა, რადგან ქართულზე უფრო მარტივ ენას ვერ ნახავთ: როგორც იკითხება (ვიზუალურად) ისე გამოითქმის და რაც მთავარია, ისევე იწერება!

ამაზე მარტივი ენა სხვას აქვს ვინმეს?!

ბედნიერები ვართ ქართველები!

## თელავის მატარებელში

– უი ქა, რომ იცოდე, რანაირი ბაღლია, სკამს სკამზე ადგამს და „ბუფეტზე“ ადის.

მაშ, ქა, ეგეთი მიწადასაყრელია...

– ვა, ვა, რა ბაღლი ყოფილა, ეე... როგორც ვატყობ მაგასა, ტარზანას არ ჩამოუვარდება...

– თუ კი ეგრეა, რამ დააბუნჯა და დააღამბლა ეგ ბაღლი დედაკაცო, ხალხისა სცხვენია ალბათ?!

– უი ქა, რას ამბობ, მაგისთვის „ვსერავენა“.

1956 წ.

## ავიასალაროსთან

თვითმფრინავის ბილეთების შესაძენად წასულმა დედამ პატარა ნათიაც თან წაიყვანა. წინასწარი გაყიდვის სალაროს რომ მიუახლოვდნენ, ნათია ეკითხება დედას:

– რა წერია კარების თავზე?

– „ავიასალარო“, წაუკითხა დამარცვლით დედამ.

– აუ, აქ ნუ ვიყიდით დედიკო ბილეთებს! ავია ეს სალარო; სხვაგან წავიდეთ, კეთილი სალარო მოვძებნოთ.

## ბოლოკისფერი

დათო პაპამ ოთახში ახალი შპალერი გააკრა, რომელშიც მუქი წითელი ფერი ჭარბობდა.

ე.წ. „შტეფსელეები“ თეთრი ფერის იყო და ძალიან ცუდად

გამოიყურებოდა ახალი შპალერის ფონზე. დათო პაპამ „შტეფსელეები“ შელება მოწითალო საღებავით და ფერები ჰარმონიაში მოიყვანა.

მეზობლის ბავშვი თათია ეზოში ბავშვებს უყვებოდა – დათო პაპას სახლში ბოლოკისფერი „შტეფსელეები“ აყენიანო.

## ელექტროენერგის დეფიციტის დროს

მიხო მიმართავს ცოლს:

– ცოტა სწრაფად უყურე ტელევიზორს, თორემ საცაა სინათლეს გამოთიშავენ.

## ვისი მხრიდან?

მიხოს წარუდგინეს ქალბატონი:

– გთხოვთ იცნობდეთ, ჩემი ბიძაშვილია მამის მხრიდან.

– სასიამოვნოა, – აღმოხდა მიხოს.

შემდეგ წარუდგინეს მამაკაცი:

– გთხოვთ იცნობდეთ, ჩემი დეიდაშვილია.

– ვისი მხრიდან? – იკითხა მიხომ.

## ჯიუტი ნინო

ნინოს თამაში უნდოდა. დედა სამზარეულოში ტრიალებდა, მამა გაზეთებს კითხულობდა. ნინომ მაგიდა და სკამები მისწი-მოსწია, ვითომ საკლასო ოთახი გააწყო და დედას მიმართა:

– მოდი დედიკო ათის ფარგლებში დათვლა უნდა გასწავლო.

– მე არა მცალია.

– არა, უნდა მოხვიდე. მასწავლებელი რომ გეუბნება უნდა

დაუჯერო!

– არ მინდა შვილო, ათის ფარგლებში დათვლა და ანგარიში კარგად ვიცი.

ნინო ახლა მამას მიუბრუნდა: – შენ ხომ დელიკოზე უფროსი ხარ?

– კი.

– მაშ, რაკი შენ დიდი ხნით აღრე დაიბადე, უკვე დავიწყებული გექნება ათის ფარგლებში ანგარიში და უარი აღარ გამიბედო – უნდა გასწავლო.

### **რატომ არ კვდება?**

თინიკო და დედამისი ფანჯრიდან იცქირებოდნენ. ქუჩაში პროცესია მიემართებოდა, მიცვალებულს მიასვენებდნენ.

– დელიკო, რა ხდება?

– მკვდარს მიასვენებენ, უპასუხა დედამ.

– რატომ მოკვდა?

– მოხუცი იყო შვილო და მოკვდა.

– მაშო ბაბო მოხუცია?

– კი?!

– მერე, რატომ არ კვდება?

### **გამყიდველი არ დაიბნა**

– რა ღირს ქალის ფეხსაცმელი?

– ათი ლარი.

– როგორ თუ ათი ლარი, ზედ რომ ხუთი ლარი აწერია?

– ხუთი ლარი ერთი ცალი ღირს, – იმართლა თავი გამყიდველმა.

### **სალაროსთან**

სარკინიგზო ბილეთების ხელოვნური დეფიციტის შექმნით შემინებულმა პროფესორმა ქვაბურა ქული მოიხადა, მოტვლეპილი და მოლაპლაპე თავი მხრებამდე შერგო სალაროში:

– ქალბატონო, მინდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მეჩქარ... არა, კი არ მეჩქარება, უბრალოდ ჩემი შვილიშვი... არა, არა, შვილიშვილი რა შუაშია... დღეს დანიშნულია ევროპის მასშტაბის კონფერენც... იცით რა, ქალბატონო, თქვენ გესაუბრებათ ნობელის პრემიის ლაურეატობის მაძიებელი, სახელმწიფო და ლენინის პრემიების ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტი, ოქსფორდის, კემბრიჯისა და პარიზის უნივერსიტეტების საპატიო წევრი, თბილისის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მონადირეთა კავშირის საპატიო წარმომადგენელი, მსოფლიოს მონადირეთა ასოციაც...

– ჩემო ბატონო, – ზრდილობიანად შეაწყვეტინა მოლარემ, – შემადგენლობა დაიძრა, მომდევნო მატარებელი ოთხი საათის შემდეგ იქნება.

### **დაბადების დღე**

ლევანი ორი წლით უფროსია თავის ძმაზე – გიორგიზე. ლევანი დაბადებულია დეკემბრის თვეში, ხოლო გიორგი – ოქტომბერში. მშობლებმა დაბადების დღე გადაუხადეს გიორგის და დაუპატიჟეს მეზობელი თანატოლები.

ყველა მხიარულობდა და ერთობოდა, მხოლოდ ლევანი იყო დაღონებული და ჩაფიქრებული.

– მოწყენილი რატომ ხარ შვილო? – მიეფერა დედა და

თავზე ხელი გადაუსვა.

– რომ მეუბნებით გიორგიზე უფროსი ხარო, მაშინ მაგას ჩემზე ადრე რატომ უხდით დაბადების დღეს?

## ბონვია

ბინაზე მისულ ექიმს წინ შემოხვდა ვეებერთელა კატა, რომელმაც ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა უცნობი და მერე არხეინად გა-  
ნაგრძო რაღაცის თქველფა.

მაგარი კატა ჩანსო, უთხრა ავადმყოფ მასპინძელს.

ბევრი არაფერი, ჭამის მეტს არას აკეთებს, რასაც კი მოასწრებს – ყველაფერს ხარბად იტენის მუცელშიო, შენიშნა მოხუცმა სინანუ-  
ლით და გულისტკივილით.

ექიმმა ავადმყოფს დაუნიშნა „ბონვიას“ მხოლოდ ერთი კაფ-  
სული და დამოდგრა – უზმოზე მიიღე ფეხზე მდგომპაო.

პენსიიდან შემორჩენილი ათლარიანით გააგზავნა აფთიაქში მეზობელი,  
რომელმაც პატარა ქალაქის თითქმის ყველა აფთიაქი შემოიარა, მაგრამ  
78 ლარზე ნაკლებ ფასად ვერსად მიაგნო „ბონვიას“ კაფსულს.

შეწუხდა ავადმყოფი, აღარ იცოდა რა ეღონა.

კეთილმა მეზობლებმა შეაგროვეს ფული და მარტოხელა მო-  
ხუცს დილაადრიან დაადგნენ თავზე, წამოაყენეს და წყალიც მიუ-  
მარჯვეს.

შეწუხებულმა ავადმყოფმა დაჩამიჩებული, აკანკალებული თითე-  
ბით ძლივს გახსნა კოლოფი, ამოიღო კაფსული და პირისკენ წაი-  
ღო, მაგრამ ხელიდან გაუვარდა.

მოულოდნელად გამოვარდა კატა, კისრისტენით დაედგნა გაგო-  
რებულ კაფსულს და ელვისისისწრაფით გადაყლაპა; მერე თათი  
სიამოვნებით გადაისვა გაბზეკილ ულვაშზე და კრუტუნით გაიშხ-  
ლართა პატარა ხალიჩაზე.

## ხანშიშესული

ფრიად არასასიამოვნო სანახავია, ჭამის დროს, მოლაპარაკე,  
ხანშიშესული, კბილებგამჩნხერებული კაცი...

– ქალი?!

## მიყვარს

ისე მიყვარს, ისე ძლიერ მიყვარს, რომ...

ასეთი სიყვარულით ჯერ არავინ მყვარებია; ის ჩემი სიხარულია,  
ჩემი ცხოვრების მშვენიებაა და სიცოცხლეა ჩემი...

მისი სუნთქვა ვარდის სუნთქვას მაგონებს; მისი ტუჩები  
მარწყვივით მიმზიდველია; მისი ფეხის ხმაზე, ავღებები მკდარიც  
რომ ვიყო; მისი ლაპარაკი ხომ ბუღბუღლის სიმღერაა, ნაკადულის  
რაკრაკია... მისი თმების სურნელი საამოდ მატკობს და მათრობს...  
ღიმილი მისი უენებელი, ნათელი და გულუბრყვილოა; მაგიჟებს და  
თავბრუს მახვევს... უიმისოდ მე გაძლება აღარ შემიძლია... ის  
ჩემია და მუდამ ჩემი იქნება. მიყვარს ჩემი პირველი შვილიშვილი.

## რატომ დაავიანა

ტაქსის მძღოლს ვაჩქარებ, სადგურისკენ მივქრი. ლოყებწითელა  
გოგოც სადგურისკენ მიდის. შევეუჩერე მანქანა, ვთხოვე ჩამჯდარიყო  
– უარი მტკიცა, არადა ვატყობ, რომ მას დაავიანდება. მატარებლის  
გასვლამდე სულ სამიოდ წუთი რჩება. მე მივასწრებ, წითელლოყება  
ვერ მიასწრებს. ერთხელაც შევთავაზე ჩამჯდარიყო, მაგრამ კვლავ  
ცივი უარი მივიღე. ნაბიჯს მოუმატა, ლოყები კიდევ უფრო აუწითლდა.  
ვერ მიასწრებს, დაავიანდება, ვფიქრობ მე. ვინ იცის – ვინ ელის,



ან რა საქმის გამო მიიჩქარის...

ჩავვჯექი მატარებელში, ღია ფანჯრიდან ბაქანს ვათვალიერებ; წითელლოყება არ ჩანს. მატარებელი დაიდრა; იგი კვლავ არ ჩანს. მატარებელმა სიჩქარეს უმატა; თვალს არ ვაშორებ დაცარიელებულ ბაქანს.

აი ისიც. გამოჩნდა წითელლოყება, მაგრამ... გული მეტკინა – იქნებ ვინ ელოდა, ვინ იცის საით მიიჩქაროდა... რატომ არ ჩამივცდა მანქანაში?!

## უცნაური

ჩვენ შორის თბილი მეგობრული დამოკიდებულება იყო და არც კეთილი და ღიმილიანი სალამი მოგვიკლია ერთმანეთისთვის.

ორიოდე დღის წინ ქუჩაში შევხვდით და კეთილი სურვილებით მოვიკითხეთ ერთმანეთი. გუშინწინ კი... გუშინწინ კი სალამზე დაბღვერილად მიპასუხა და რაღაც წაიბუტბუტა. გუშინ შევხვდი და გამიღიმა, საოცარი ღიმილით. შემდეგ კიდევ გადავეყარე სადღაც და სალამზე ისეთი მზერით მიპასუხა, რომ მიწა გამსკდარიყო და ჩავვარდნილიყავი – ის მერჩინა. რა ხდებოდა, ვერ ვივხვდი...

ავტობუსში ჭედვაა. ფეხზე ვდგავარ და ვიწურები. ვხედავ, ჩემგან მარჯვნივ ზის. მივესალმე, გამიღიმა და მომიკითხა. გამეხარდა.

ვიღაცას ეტყობა ჩასვლა უნდა და გულდაგულ მაწვება; შემომატრიალეს მარცხნივ და ჰოი, საოცრება – იქ ზის და მიბღვერის. როგორც იქნა შევტრიალდი მარჯვნივ – იქ ზის და მიღიმი. მერე მის გვერდით ადგილი განთავისუფლდა და მიუვჯექი. ერთხელ კიდევ გამიღიმა თავისი მომაჯადოებელი ღიმილით და მარცხენა მხარეს მიმითითა: გაიცანი, ჩემი ტყუპისცალიაო.

ტყუპისცალმა ნაძალადევად გამიღიმა და ხელი გამომიწოდა.

## ხელფასი მოემატა

– დღეს, რაღაც ძალიან კარგ ხასიათზე ხარ, რაშია საქმე, რა მოხდა?!

– კარგ ხასიათზე ვიქნები, აბა რა... ხელფასი მოემატა, ოცდაათი ლარი.

– ვა, რა კარგია; მარტო შენ მოემატა, თუ სხვებსაც?

– სხვებს არა; სიგარეტის წევას მარტო მე ღავანებე თავი.

## საყვედური

მკაცრი ზამთრის სუსხიანი დილა იდგა. ირგვლივ ყველაფერი მოყინული იყო. თერმომეტრის სვეტი ნულს ქვემოთ მეცხრე-მეათე დანაყოფთან გაშემებულებოდა. ცივი, გამჭოლი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა.

ღირექტორი ახალი სამსახურებრივი შავი „ვოლგით“ ინსტიტუტში მიდიოდა. სამუშაოს დაწყებამდე ორიოდე წუთიღა რჩებოდა. ღირექტორმა შეამჩნია ტროტუარზე ფრთხილი ნაბიჯებით მიმავალი ჭაღაროსანი ქალბატონი, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით გადაადგილდებოდა. ინსტიტუტამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო. ღირექტორმა მძლოლისკენ მიატრიალა მორგვევით კისერი და განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოსთქვა:

„ის ქალბატონი ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერია“.

ცხრა საათსა და ხუთმეტ წუთზე ღირექტორს თბილ კაბინეტში მიუტანეს იმდღეს სამსახურში დაგვიანებულთა სია, რომელშიც მხოლოდ ის „მოწინავე მეცნიერი“ იყო მოხსენებული.

ღირექტორმა მას, ოთხწუთიანი დაგვიანებისთვის, საყვედური გამოუცხადა ბრძანებით.

შავი „ვოლგის“ უკანა სავარძელზე გადაჭიმულ პოლიეთილენის ფირს კი კვლავ დაჰკრავდა ქარხნული სუნი.

## ტრაგედია

ქალების საზარელი წივილ-კივილისა და ხმამაღალი ტირილისა და გოდების ხმები ისმის კოჭლი კოლას სახლიდან, ავერ უკვე ოთხი დღეა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა – ძლიერი ქარიშხლის დროს, ერთ-ერთი სახლიდან მოგლეჯილი სახურავის ფრაგმენტი თავში მოხვდა ოჯახის უფროს ვაჟიშვილს და ადგილზე მოკლა ჯან-ღონით სავსე, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა.

ორი თვის წინ კი ამავე ოჯახში შეკრებილნი იყვნენ ოჯახის მრავალრიცხოვანი ნათესაობა, მეზობლები და ნაცნობ-ახლობლები, რომლებმაც მხიარული სუფრითა და ზომაგადასული მხიარულებითა და ღრეობით აღნიშნეს ოჯახის უფროსის „გამარჯვებით“ დაგვირგვინებული მცდელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ვაჟიშვილი არ წაეყვანათ ჯარში. რა აღარ მოიმოქმედა და აღარ იკადრა მამამ: ხან ბრტყელტერფიანობის ცნობა გააჩალიჩა, ხან შორეულ ნათესავებში გადამალა შვილი, ხანაც კუჭის წყლულით დაავადებას აწერდა და ვინ იცის კიდევ რა.

ბოლოს კოჭლმა კოლამ თავისას მიაღწია და სხვა თანასოფელელ თანატოლებთან ერთად ჯარში საბრძოლველად არ გაუშვა ვაჟი.

იდგა 1944 წლის შემოდგომა. გერმანული ფაშიზმი სულს ლაფავდა.

## საპონი ფრონტიდან

მსოფლიო ომის დროს, მებრძოლი ვაჟკაცები იმასაც ახერხებდნენ,

რომ ზურგში დარჩენილი ოჯახებისათვის, იმედიან წერილებთან ერთად გამოეგზავნათ დანაზოვი პროლექტი და მხარში ამოდგომოდნენ აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდნილ დედებს და მეუღლეებს.

თებრომაც რამდენჯერმე მიიღო მეუღლის გამოგზავნილი ჩაი, შაქარი, ბურღულეული, ასანთი, პაპიროსი, კონსერვი, ორცხობილა და სხვა.

ერთხელაც ძალიან მძიმე ამანათი გახსნა და გაოცდა – ამანათში აღმოჩნდა ოცი ცალი სარეცხის საპონი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გადაწყვიტა – ორი ნაჭერი კარგა ხანს მეყოფაო და დანარჩენი გაყიდა სულ რაღაც ნახევარ საათში. აღებული ფულით შეიძინა პროლექტები, რათა ბავშვებს შიმშილი არ ეგრძნოთ. ორიდან ერთი ნაჭერი მეზობლის ქალმა გამოართვა – მალე ჩაგასესხებო.

რეცხა და რეცხა რამდენიც შეეძლო. ერთხელაც თითქმის ბოლომდე გალეული საპონი ბავშვის პერანგს გამოედო ისე, რომ აღარ გასლიკინდა ზედაპირზე. თებრომ საპონში ყვითელი ფერის ლითონს მოჰკრა თვალი. ატამივით გადახლიჩა გალეული საპონი და ხელში შერჩა მაჯის ოქროს საათი სამაჯურით...

მეზობლებმა გონზე ძლივს მოიყვანეს იატაკზე გაშლართული თებრო. თვალცრემლიან ბავშვებს ვერ გაეგოთ რა ხდებოდა.

## რეფლექსი

შვილიშვილმა ვახტანგიმ კარგა ხანია შეამჩნია თუ როგორ წვალობდა და ნერვიულობდა მისი ბებია ქათმების გამოკვების დროს. გასძახებდა თუ არა „ჯუგ-ჯუგო“, საკუთარ შვიდიოდე ქათამს ორი ამდენი ქათმები თავპირისმტკრევით მორბოდნენ ღობეებში არსებული ხვრელებიდან და იყო ერთი ძიძგილი და კრიახი. ბებია ხელს აუქნევდა – ყველა ერთად დაფრთხებოდა; დაუყრიდა სიმინდს და მეზობლების ქათმები უფრო აქტიურობდნენ,

პირდაპირ ნისკარტიდან სტაცებდნენ სიმინდის მარცვლებს ბებიის ქათმებს.

ამოგიწყდეთ ჯიშო, დასწყევლიდა ბებია მეზობლის ქათმებს და ბურღლუნ-ბურღლუნით მიაშურებდა სახლს.

სამი თუ ოთხი დღის განმავლობაში დილით ბებიას ესმოდა სარდაფიდან ზარის რეკვის ხმა და კუტკუტ-კოტკოტი, ისეთი, ქათმებს რომ სჩვევიათ. იფიქრა ჩემი ჩხირკედელა შვილიშვილი ისევე რაღაცა უცნაურს აკეთებსო და მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა. შეჩვეული იყო შვილი-შვილის უცნაურ ოინებს.

მეხუთე თუ მეექვსე დღეს ვახტანგიმ უთხრა ბებიას: ქათმებს მე ვაჭმევ, ოღონდ ხმა არ ამოიღო და „ჯუგ-ჯუგ“ არ გასმახო, მე მაცალეო. მერე ლითონის ღერო რამდენჯერმე შემოსცხო აივნის კოჭზე ჩამოკიდებულ რკინის ნაჭერს და თავპირისგლეჯით მოცვივდა მათი შვიდივე ქათამი და წყნარად აკენკეს სიმინდი.

მეზობლის ქათმები არ ჩანდნენ.

ბებიამ გულში ჩაიხუტა ჭკუამახვილი შვილიშვილი.

## ხვთისო და დათვი

საუკეთესო მონადირის რეპუტაციით სარგებლობდა ხვთისო თავის სოფელში. ლეგენდებს ყვებოდნენ მის ნადირობასა და მოხერხებულობაზე.

ზამთრის ერთ თოვლიან ამინდში დაბინდებისას დაბრუნდა სახლში. გაფუნჩულებული დათვის ბელი ოთახში გაუშვა, ღუმელს შეშა მიამატა და ნადირობის ამბებს დაწვრილებით უყვებოდა გარსშემოხვეულ ოჯახის წევრებს.

„ცხვირწინ ისე ავაცალე, ვერაფერი გაიგო, თუმცა უკნიდან

ტოტების ლაწა-ლუწისა და მოგუდული ხენემის ხმები მესმოდა. მომეჩვენა თითქოს კვალში მეღვა“.

დათვის ბელმა ყველა კუთხე-კუნჭულს დასუნა და მერე ტახტის წინ გაშლილ ცხვირს ტყავზე მიწვა. ხვთისომ გემრიელად ივანშმა და დაწვა დასაძინებლად.

საშინელი სიზმარი ნახა: თითქოს მიწა იძრა; სახლი ერთიანად ირხეოდა და ჭრიალებდა. საიდანღაც არწივი გამოჩნდა, ხვთისო ჰაერში აიტაცა და სულ მალლა და მალლა მიიწევა. მერე ბრჭყალები გაუშვა და ხვთისოც წარმოუდგენელი სიჩქარით დაეშვა. სადაცაა დაენარცხება მიწას... ამ დროს გამოეღვიძა ოფლში გაწურულს და თვალების ფშვნეტით წამოჯდა ლოგინზე. სიბნელებაში შეამჩნია მის წინ აღმართული უზარმაზარი უფორმო სხეული, რომელიც გამუდმებით ბურღლუნებდა და მძიმედ ირხეოდა.

ხვთისომ ხელი წაიღო იქვე ჩამოკიდებულ თოფისკენ, მაგრამ ისეთი დარტყმა იგემა, რომ ჯერ კედელს მიენარცხა, მერე კი გონებადაკარგული იატაკზე გაიშლართა.

მეორე დღეს ხვთისოს ერთ-ერთი მეზობელი უყვებოდა სოფლელებს – „მთვარის შუქზე აშკარად დავინახე ორმეტრიანი დათვი, რომელსაც პირით ეჭირა ბელი და ჩქარი ნაბიჯებით ტყისკენ მიძუნძულებდაო“.

სამი თვე მკურნალობდნენ ხვთისოს. ჩაღწეული ჰქონდა შვიდი ნეკნი და ლავიწის ძვალი.

## სიყვარულის დამტკიცება

მეხუთეკლასელ ყველა ბიჭს ერთი გოგო „უყვარდა“ – თამილა. ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ მისთვის „სიყვარულის“ დამტკიცებას და თამილას დასანახად მუდმივ შეჯიბრში იყვნენ („ლახ-

ტი“, სირბილი, „გრძელი ვირი“, ჭიდაობა და რაღა თქმა უნდა – სწავლა).

ერთ-ერთ შესვენებაზე ბიჭებმა გადაწყვიტეს შეჯიბრებოდნენ კიბის საფეხურებიდან გადმოხტომაში. გადმოხტა ჯერ ბენო, მერე ოთარი, გივი, ნოდარი და ა.შ. თამაზიმ ბოლოსთვის შემოიტოვა თავი; უნდოდა ერთი საფეხური წაემატებინა და ყველასთვის ეჯობნა. მოვიდა მისი რიგიც. ერთი საფეხურით აიწია ზევით და მოემზადა გადმოსახტომად, მაგრამ შეჩერდა - გულშემატკივარ მაყურებლებში თამილა აღარ ჩანდა, სადღაც გამქრალიყო. თამაზისთვის აზრი დაკარგა შეჯიბრებამ, ერთიანად მოდუნდა და კიბიდან ჩამოსვლა გადაწყვიტა.

გადმოხტი, რაღას უყურებ, საცაა ზარი დაირეკება – უკიჟინებდნენ გულშემატკივრები. ამ ღროს თამილამაც მოიბრინა და თავისი მაყვლისფერი თვალებით ლამის ცეცხლი წაუკიდა იქაურობას. თამაზი სიხარულისაგან გაიბადრა, ჩაიბუქა და ხელები ფრთებივით დაიქნია... სარეკორდო ნახტომი შედგა, მაგრამ ქუსლებით დაეცა მოზაიკის იატაკზე და კეფის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო.

ბავშვებმა ძლივს მიიყვანეს თამაზი თავის მერხამდე. ათას რამეს ეკითხებოდნენ ჟივილ-ხივილით, მაგრამ თამაზი ხმას ვერ იღებდა. ტუჩებს ამოძრავებდა და ხმა კი არ ამოსდიოდა ხორხიდან, ხმა წართმეოდა.

თამილა მიუჯდა გვერდით, თავზე ხელი გადაუსვა და ყურში ჩასჩურჩულა „არ შეშინდე, ყველაფერი კარგად იქნება“ – უთხრა ეს და მხარზე მიაღო თავი. თამაზის აღმოხდა ხმა – მაღლობთო და თავადვე გაუკვირდა. მერე წამოხტა და კიდევ რამდენჯერმე ხმამაღლა შესძახა – მაღლობთ, მაღლობთ...

მასწავლებელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან თამილა და თამაზი მჯდარიყვნენ ერთ მერხზე.

და ისხდნენ ერთ მერხზე წლების განმავლობაში. მერე კი მერხი აიწია მაღლა, გაანგრია კლასის კარები, სკოლის ეზოს

ჭიშკარი და გაიჭრა უსაზღვრო სივრცეში, სადაც მათ ერთადყოფნის დიდი ცხოვრებისეული მერხი ელოდათ. და იყვნენ ერთად, მხრებზეთავ-მიდებულები მანამდე, სანამ ჰქონდათ ხმის ამოღების უნარი.

## სადღეგრძელო განთიადისას

...მეგობრებო, ბატონებო და ქალბატონებო! მე მინდა ნება მოგცეთ, რომ ნება დამართოთ შემოგთავაზოთ ჩვენი ბედკრული ქვეყნის, ჩვენი მაშულის, ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელო... რატომ იწერება, მეგობრებო, „მიწა-წყალი“ ტირეთი?! საქმე იმაში გახლავთ, რომ... და საერთოდ რა შუაშია ამ სადღეგრძელოსთან ქართული გრამატიკა?! მე მინდოდა მეთქვა, რომ... გთხოვთ სიჩუმეს... გესმით მამლის ყვილის ხმა? ეს უკვე მეორედ, არა მესამედ ყვიის... თქვენ როგორ გგონიათ, რატომ ყვიის მამალი... რატომ და იმიტომ, რომ თავის მრავალრიცხოვან დედლებს ამცნოს, რომ მე ადგილზე ვარ და ვაი იმის ბრალი... და მოდით მეგობრებო, სხვა კუთხით შევხედოთ მამალს... რატომ ყვიის, რა უხარია?!.. ის, რომ დღეს, ერთ-ერთი ქათამი, ან რამდენიმე, დადებს კვერცხს, ანუ გაჩნდება ერთი ან რამდენიმე ახალი სიცოცხლის პოტენციალური შესაძლებლობა... ნუ ხმაურობთ, მომისმინეთ... ჰოდა, მოდით იმ წიწილას გაუმარჯოს, რომელიც ამ წუთიდან დაწყებული, პირველად მოევიწინება ქვეყანას! ალავერდი ყველ...

...ასე მტერი დაგეცალოთ...

## უვარგისი

ახალი „მერსედესით“ თავს წაადგა ტრასაზე მომხდარ ავტოავარიას. ორი მიკროავტობუსის შეჯახების შედეგად ათეულობით ადამიანი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. ორივე მიმართულების მანქანებიდან ადამიანები სწრაფად გადმოდიოდნენ და დაზარალებულებისკენ მიიჩქაროდნენ – გამოჰყავდათ დეფორმირებული სალონებიდან, იქვე უწევდნენ პირველად დახმარებას - ზოგს წყალს აწვდიდნენ, ზოგს ამხნევებდნენ და მერე კასპისა და გორისკენ მიჰყავდათ. საოცარი ფუსფუსი და მონღოლება იგრძნობოდა ადამიანებში, სიცოცხლის გადასარჩენად.

ის კი იღვა შემადღებულ ადგილზე და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს. მხოლოდ მაშინ „გამოცოცხლდა“, როდესაც პატრულის მანქანები გამოჩნდნენ ტელეარხების ჟურნალისტებთან ერთად.

მოჩვენებითი სისწრაფით ამოძრავდა – ხან რაღაც ნივთი გადადო გვერდზე, ხან რომელიღაც საკაცის სახელურს წაავლო ხელი, ხანაც ცდილობდა პოლიციელისთვის ეთქვა რაღაც და განუწყვეტლივ შეჰყურებდა ვიდეოკამერის ობიექტივს.

## იღბალიც და დაკვირვებულობაც

თამაზი და ნიკო ხელი ნაბიჯით და მშვიდი საუბრით მიუყვებოდნენ ქალაქგარეთის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩას. უცბად ნიკო დაინხარა და ბორდიურის ძირში მივლებული გასაღებების შეკვრა აიღო და ხელისგულზე ისე შეათამაშა, თითქოს წონისო.

ეკ, ვინ იცის, როგორ დაეძებს პატრონი; რა იქნებოდა, რომ ქალაქში იყოს დაკარგული ნივთების ჩასაბარებელი რაიმე ბიურო,

ან პუნქტი... რამდენი გაიხარებდა...

კარგი, თუ ძმა ხარ, ნაპოვნ ნივთს ვინ მიიტანს იმ ბიუროში, თუ პუნქტში – გამოეპასუხა თამაზი და დაკვირვებით შეათვალიერა გასაღებების შეკვრა. მერე გახარებლმა შესძახა – ეს ხომ ვახოს გასაღებებია, სწორედ რომ მისია.

შენ რა იციო – დაინტერესდა ნიკო. როგორ თუ რა ვიცი... გახსოვს, ამ ორიოდ თვის წინ ვახოს მარანში კახურ საუკეთესო ღვინოს რომ ვსვამდით... ისიც გეხსომება – ვახომ ავტოფარეხში რომ გამაგზავნა ძაბრის მოსატანად და რამდენჯერმე ხაზგასმით მითხრა, აი, ეს არის ავტოფარეხის გასაღებიო. ჰოდა გზაში შევათამაშე შეკვრა და მერე ბევრი ვიწვალე მომერგო საკეცისათვის საჭირო გასაღები. აი, მაშინ დამამახსოვრდა ეს შეკვრა – სამი გასაღები ფოლადისაა, სამი კი თითბერისა, თანაც თითბერის ერთი გასაღები დამატებითი რგოლითაა მიერთებული შეკვრაზე.

მართლა ასეაო, გაუხარდა ნიკოს და თითქოს შეთანხმებულნი იყვნენ, ორივე ერთდროულად შემოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით წავიდნენ ვახოს სახლისკენ.

ის-ის იყო, ვახო დურგალთან აგზავნიდა მეზობლის ბიჭს, როდესაც თამაზი და ნიკო თავს წამოადგნენ და ღმილით უთხრეს, „მალარიჩი“ შენზეაო...

გვიან ღამემდე ისმოდა ვახოს მარნიდან მოგუდული სიმღერების ხმები.

## ექსპერიმენტი

რამაზი საინტერესო ტელეპროგრამას უსმენდა. საუბარი ეხებოდა ისეთ საკითხს, როგორიცაა ამათუიმ ხალხის მისაღმების სიტყვების წარმოშობას, მათ შინაარსს და მნიშვნელობას. თავისდაუნებურად გონებაში თვალი გადაავლო ქართველებისათვის დამახასიათებელ

მისასაღმებელ, თუ საპასუხო სიტყვებს: „სალამი“, „გამარჯობა“, „დილა მშვიდობისა“, „გაუმარჯოს“, „რას შერები“, „როგორა ხარ“, „როგორაა საქმეები“, „ჰა, ხომ ხარ კარგად“ (ჯანმრთელად), „პრივეტ“, „ჩაო“ და „გაგამარჯოს“, „დილის მადლი ნუ მოგიშალს ღმერთმა“, „ვარ, რა“, „ისე, რა“, „არა მიშავს რა“, „ვცოცხლობ“, „მადლობთ, კარგად“, „ნელა-ნელა“ და ა.შ.

რამაზიმ ისიც გაიაზრა, რომ ადამიანები, მრავალი ასეული წლის განმავლობაში, ისე შეეჩვივნენ ამდაგვარ მისაღმება-მიმართვებს და შესაბამის გამოპასუხებებს, რომ ავტომატურად ასრულებენ აღნიშნულ რიტუალს და ხშირად, ყოველწუთიერ თუ ყოველდღიურ ორომტრიალში, ვეღარც კი აცნობიერებენ (იმ მომენტში მაინც) მიმართვა-გამოპასუხების რეალურ (ფუნქციურ) შინაარსს და მნიშვნელობას. ამის დასადასტურებლად რამაზიმ ქუჩაში გაისეირნა. მალე შეამჩნია მისკენ სწრაფი ნაბიჯებით მომავალი ძმაკაცი, რომელიც შორიდანვე მიესალმა მას და ჰკითხა – როგორ ხარო. რამაზიმ დამწუხრებული სახითა და ჩახლეწილი ხმით უპასუხა – ეჰ, ვერა ვარ კარგადო.

ძმაკაცმა სწრაფი ნაბიჯებით განაგრძო გზა, ისე, რომ წამითაც არ შეჩერებულა.

## მერცხლები

(ანუ საოცარი მინისამყარო)

დილით ადრე ოთარი გააღვიძა წყვილი მერცხლის საამო ჭიკჭიკმა.

მერცხლები საოცარი რუდუნებით და გამალებული ჭიკჭიკით შესდგომოდნენ აივნის ჭერის კუთხეში მიტოვებული ბუდის შეკოწიწება-შეკეთებას. რა აღარ მოჰქონდათ, პატარა ნისკარტებით, ახლომან-

ლო. ბალ-ბოსტნებიდან: ზამთარგამოვლილი ბალახის ნარჩენები, ფოთლების ფრამენტები, წიწვები, ათასნაირი ბოჭკოვანი ნაკუწები და სხვა. მაგრამ, როგორც ოთარიმ შეამჩნია, მთავარი „საშენი მასალა“ მაინც იყო ნერწყვი, ბუნების მიერ ბოძებული, უნიკალური სუსპენზია, რასაც საოცარი მოხერხებულობით იყენებდა მოფუსფუსე „საოჯახო წყვილი“.

მერე კი ოთარიმ იხილა ბუნების, მართლაც რომ დიდი საოცრება – ბუდიდან ოთხ ბარტყს გადმოეყო თავი, ფართოდ გაეხსნათ მოყვითალო პატარა ნისკარტები და შეუჩერებლად ჭყვიგჭყივებდნენ, საკვებს ითხოვდნენ. ერთი ბარტყვი, მარცხნიდან პირველი, განსაკუთრებით აქტიურობდა, დანარჩენ სამს ავიწროვებდა და ეტყობოდა, რომ პირველობას ჩემობდა.

საიდანაც, შურდულით ნასროლ ქვაზე უსწრაფესად, მოფრინდა ერთი მერცხალი, ნისკარტით ეჭირა რაღაც ჭია-ლუა და ჩატენა მეოთხე დაღებულ ხახაში, თან ბრჭყალებით ეჭიდებოდა ახლადშეკოწიწებული ბუდის კედელს, ცალი ფრთით კი ცდილობდა მოეგერიებინა პირველი ბარტყის აგრესიული შეტევები; სწრაფადვე გაფრინდა უკან. ის-ის იყო თვალს მიეფარა და ასევე სწრაფად მოფრინდა მეორე მერცხალი და ბალ-ბოსტნის რაღაც „ნუგბარი“ ჩატენა მესამე დაღებულ ხახაში. პირველი ბარტყვი განაწყენებული ჩანდა, ყველაზე მეტად ჩხაოდა და თავის „დედმამიშვილებსაც“ კვლავ უნისკარტებდა და ავიწროვებდა, მაგრამ ბარტყების დაპურების საქმეში იგრძნობოდა გარკვეული თანმიმდევრობა თუ მკაცრი წესრიგი და არცერთ ბარტყს, არ ჰქონდა ულუფის ურიგოდ მიღების მცირედი შანსი. შემდეგი ულუფა წილად ხვდა მეორე ბარტყს.

პირველი გაცხარებული ფართხალებდა და ჭინჭყლობდა. დადგა მისი ჯერიც და ოდნავ დამშვიდდა, თუმცა დროებით. მერცხლები კი გულდაგულ განაგრძობდნენ თავის საქმეს. მათ არ დაურღვევიათ ბარტყების გამოკვების რიგითობა და თანმიმდევრობა.

უკვირდა ოთარის – ბუნების რა ძალა და ინსტინქტი უზრუნ-

ველყოფდა მოწესრიგებულობას, როგორ ახერხებდნენ მერცხლები მიმდევრობითობის დაცვას. მერცხლების შრომისუნარიანობით და მოწესრიგებულობით აღფრთოვანებული ოთარი ფიქრმა გაიტაცა – ნეტავ ყოველი ადამიანი იყოს მერცხალივით მუყაითი, პრინციპული, თანმიმდევრული, წესრიგის მოყვარული და ერთხელ კიდევ შეათვალიერა აივნის ჭერის კუთხეში შეყუყუული საოცარი მინისამყარო.

### რალაც უნდოდა ეთქვა

ერთი ამბავი უნდა მოგიყვე, ვიცი ძალიან დაგაინტერესებს, – უთხრა უშანგიმ მეგობარს.

გუშინ მე და გივი ქორწილში ვიყავით...

– ვის ქორწილში?

– ნიკოსი.

– რომელი ნიკოსი?

– რა, ნიკოს არ იცნობ, ბაკურაძეს?

უშანგიმ შეამჩნია, რომ მეგობარი ვერ მიხვდა, რომელ ნიკო ბაკურაძეზე იყო საუბარი...

– კაცო, რა გემართება, ნიკო ბაკურაძეს არ იცნობ?

– არ ვიცი, არ მახსენდება...

– ნიკო ბაკურაძე გოდერძის სიძეა, მაღალი, ქერა კაცი.

– გოდერძი ვილაა?

– ვა, შენ მე გამაგიჟებ... გოდერძი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ იყო და მერე რაიკომის მდივანი...

– აა... თამაზის ბიძა?

– თამაზის ბიძა კი არა, გიორგის ბიძა...

– რა მოგდის, არც გიორგი ჭანიძე იცი ვინ არის?!

– არა, არ ვიცი, რა ვქნა?!

– როგორ არ იცი, მასთან ერთად არ მუშაობდი ვალიკოს საამქროში?!

– რომელი ვალიკო, ჩემი კარის მეზობელი?

– ჰოო, მაღლობა ღმერთს... როგორც იქნა მიხვდი რასთან გვაქვს საქმე;

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რომ ქორწილში...

თავი მოიფხანა უშანგიმ – რა უნდა მეთქვა?!

### ხურდა

ახალგაზრდა გამყიდველ გოგოს მოკრძალებული ნაბიჯებით მიუახლოვდა შუახნის მამაკაცი და რალაცნაირი დარცხვენით მიმართა:

– გოგონა, გენაცვალე, ხურდა შეცდომით მომეცით და მინდა, რომ...

– ოჰ, შენლა გაკლდა... იცი, დღეს უკვე მერამდენე ხარ?! გამონახეს რა, ფულის შოვნის იოლი გზა; თქვე უნამუსოებო, თქვე გარეწრებო, აღარა გრცხვენიათ, სხვის ხარჯზე გინდათ ცხოვრება, თქვე უვარგისებო?! ახლავე „ახავიე“ აქედან, თორემ...

– გოგონა, თქვენ ზედმეტი მომეცით ხურდა, მიმართა გაოცებულმა მამაკაცმა და გაუწოდა ლარიანი.

### დრომ მოიტანა, თუ...

პირველი საბრძოლო ორდენი 1941 წლის ბოლოს დაიმსახურა. პოლკის მეთაურმა, საზეიმო მუსიკის თანხლებით, პირადად გადასცა მას ჯილდო და ხელიც ჩამოართვა. გერმანიის ფაშიზმზე სრულ გამარჯვებამდე მან კიდევ დაიმსახურა ორი ორდენი და თერთმეტი

მედალი. და ამდენჯერვე გაისმა საზეიმო მუსიკისა და საბრძოლო მარშების ჰანგები. სამჯერ მოხვდა ჰოსპიტალში და სამჯერ გამოჩნდა მისი ფოტო ცენტრალურ გაზეთებში.

არც ომის შემდეგ მოჰკლებია მედლები. გამარჯვებიდან ყოველ მრგვალ თარიღზე იბარებდნენ და ჰკიდებდნენ მედალს. იმდენი დაუგროვდა, რომ მკერდზე აღარ ეტეოდა. ბოლო მედალი მიიღო 1995 წელს, გამარჯვებიდან 50 წლისთავზე; მაშინაც ისმოდა საზეიმო ჰანგები და სასულე ორკესტრის ძლიერი გამები. ეს იყო მისი უკანასკნელი ჯილდო.

2003 წელს კი მისმა შვილიშვილმა, რაღაც გაუგებარი წარმოშობის საზოგადოების, თუ ფირმის დილერს სულ რაღაც ორმოცდაათ ლარად ჩააბარა ორმოცდაათი წლის განმავლობაში ბრძოლით, სისხლითა და ოფლით მოპოვებული ისტორიული განძი.

სადღაც შორიდან ისმოდა გულშიჩამწვდომი სამგლოვიარო მუსიკის ხმები.

## მაჯლაჯუნა

სოფელში არავინ იცოდა მისი წარმომავლობა. არც სახელი იცოდნენ მისი და არც ის, თუ სად ცხოვრობდა, ან სად ათევდა ღამეს. კვირაში ერთხელ, ან ორჯერ გამოჩნდებოდა, კოჭლობით შემოივლიდა სოფელს, ტურტლიან ტომარაში შეაგროვებდა ხორავის ნაწყალობევ ნარჩენებს და ისევ გაუჩინარდებოდა.

ბუნებას უმოწყალოდ დაესაჯა იგი – ხელები სხვადასხვა სიგრძის ჰქონდა; მარჯვენა ფეხით კოჭლობდა; წელში მოხრილი, უფორმო, გაბურძენილ თავს გაჭირვებით სწევდა ზევით და ელაპი თვალებით აღიქვამდა გარემოს. ჩამოხეულ-ჩამოძენილი ტანისამოსი ეცვა; დაგლეჯილი ქალამნებიდან შიშველი თითები მოუჩანდა. ლაპარაკი თუ შეეძლო, ისიც არავინ იცოდა. ბოძებულ წყალობაზე,

ცხენივით ჩაიხვიხვინებდა ხოლმე, მაღლობის ნიშნად. სოფლელებმა სახელად „მაჯლაჯუნა“ დაარქვეს. გაუთავებლად დასცინოდნენ და აბუნად იგდებდნენ. შურაცხმყოფელი სიტყვებით უმასპინძლებოდნენ და დაჰკიჟინებდნენ, თუმცა წყალობას არ აკლებდნენ. განსაკუთრებით ერჩოდნენ აბეზარა ბავშვები – სტვენითა და კერნჭების სროლით აფრთხობდნენ. ძაღლებიც ემტერებოდნენ და ყეფა-ღრენით ეღვენებოდნენ ორღობეებში ძუნძულით მიმავალს.

იმხანობად „ლეკიანობის“ სენი აწუხებდა კახეთის ამ პატარა, მთის კალთებზე შეფენილ სოფელს. ერთ დღეს ქალების წივილ-კივილმა შესძრა სოფელი. უცბად გავრცელდა ცნობა, რომ ყურაანთ ექვსი წლის ბიჭი გაიტაცეს ლეკებმაო, სამნი იყვნენო. შეიდიოდე ვაჟკაცმა აისხა იარაღი და ცხენდაცხენ დაედევნა გამტაცებლებს. ჩქარა, ჩქარაო – აქეზებდნენ ერთმანეთს, კავკასიონის გადასასვლელ ბილიკებზე არ შეგვასწრონო.

ის-ის იყო გასცდნენ სოფლის სამანებს, რომ შეამჩნიეს მათკენ სირბილით და ტირილ-სლუკუნით მომავალი თმანუჭუჭა ბიჭი. კარგა მოშორებით კი წააწყდნენ საზარელ სურათს: მიწაზე გაშხლართულ ორ ლეკს, დახანჯლული მკერდიდან ჯერ კიდევ სდიოდა სისხლი. მოშორებით ეგლო ხმლით თავგაპობილი, საბრალო „მაჯლაჯუნას“ უსულო სხეული. სისხლიანი ხანჯლის ვადისთვის რკინის მარწუხებივით შემოეჭდო გამხმარი თითები. მესამე ლეკი არსად ჩანდა.

დღესაც არ იციან სოფელში „მაჯლაჯუნას“ ნამდვილი სახელი და გვარი.

## ორი ასმანეთიანი

თეატრში ხმა გავრცელდა – მსახიობები ფულს კარგავენო. ვიდაც ხელმრუდე და სულწაწყმედილი „ასუფთავებდა“ კოლეგების



ჯიბებს, როცა ისინი სცენაზე იმყოფებოდნენ. ქურდობის შემთხვევებმა იმატა და მსახიობებმა „გამოსავალი“ იმაში ნახეს, რომ ფულს იღებდნენ პიესისათვის სპეციალურად შეკერილ კოსტუმებში – სპექტაკლის დამთავრებამდე.

ამ ამბებიდან ოცდაათ წელზე მეტი იყო გასული, როცა თეატრის ახალმა რეჟისორმა გადაწყვეტილება მიიღო აღედგინა დიდიხნით მივიწყებული წარმოდგენა. მის სინარულს არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც თეატრის უმდიდრეს გარდერობში აღმოაჩინა ფაქიზად შენახული, სპექტაკლისთვის საჭირო კოსტუმების თითქმის სრული კომპლექტი.

ახალგაზრდა მსახიობს, ისე კარგად მოერგო მთავარი როლის შემსრულებლის ესპანური კოსტუმი, რომ იფიქრებდით – მის ტანზეა შეკერილიო. მეგარდერობემ მზრუნველობით უთხრა: „ეცადე კარგად ითამაშო და არ შეარცხვინო ამ კოსტუმის პირველი მომხმარებელი, რომელიც დღეს საპატიო სტუმართა ლოჟიდან დაგაკვირდება, პატივი ეცი მის დამსახურებას და ჭაღარას“.

სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს.

საპატიო ლოჟაში მჯდომ, საყოველთაოდ ცნობილ, ჭარმაგ მსახიობს ცრემლი მოსდგომოდა თვალებზე – გაახსენდა ოცდაათი წლის წინ ნათამაშები მთავარი როლი; ავიდა სცენაზე, მიულოცა ახალგაზრდას წარმატება და გულში ჩაიკრა; ახალგაზრდამ მადლობა უთხრა და გამოუწოდა ორი ასმანეთიანი – ესპანური კოსტუმის ჯიბეში აღმოვაჩინეო.

## თოვლი

ყველა პატარასავით, მეც გავიყვით მიყვარდა თოვლი. პირველი თოვლის მოსვლა არნახულ დღესასწაულად მესახებოდა. მერე იწყებოდა

გუნდაობა, ციგაობა, თოვლში კოტრიალი, კისერში ჩაყრილი თოვლის ამობერტყვა, თოვლის პაპის აგორება, ცოცხისა და ძველი ქვაბის ან ვედრის ძებნა, სველი ფეხების ბუხართან შემრობა და ა.შ.

თოვლი ჩემთვის იყო ყველაფერზე უფრო სუფთა, თეთრი, სპეტაკი და ბრწყინვალე, საწოლზე უფრო რბილი და ფაფუკი.

მაგრამ ასე იყო მაშინ, ბავშვობისას. ახლა კი, თმაში თოვლმომალებულს, ისე აღარ მიყვარს თოვლი, რადგან: მცივა მისი სიცივისგან, თვალს მჭრის მისი სითეთრე და სიბრწყინვალე და კიდევ იმიტომ, რომ კარგა ხანია მეშინია თოვლში წაქცევისა. თუმცა არის კიდევ ერთი რამ, რის გამოც თოვლს დღესაც მივესალმები – იგი ხომ, თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც ფარავს ღვთის მიერ კურთხეულ დედამიწაზე უგუნური ადამიანების მიერ დანთხეულ სიბინძურეს.

2000 წ.

## ექიმი და პაციენტი

– ექიმო, მეშველება რამე, რა დამინიშნეთ?

– ამ პრეპარატის ანტიმიკოზურობა განპირობებულია კლოტრიმაზოლის, ზოგადად იმიდაზოლის მიერ ერგოსტერინის სინთეზის დარღვევით, რომელიც შედის უჯრედულ მემბრანაში, რაც იწვევს ლიზისს. ეფექტურია დერმატოფიტების, ლიქენის ერთრაზმის გამოწვევების მიმართ. რეზისტენტობა კლოტრიმაზოლის...

პაციენტს ლამის თავბრუ დაეხვა, გაცივებისაგან თვალები გაუფართოვდა და მისუსტებული ხმით წარმოთქვა – ვერაფერი გავიგე.

– რა არის აქ გაუგებარი, ყველაფერი კარგად აგისხენით; უიმე, რა ხალხი მოდის...

აქ კი ნერვებმა უმტყუნა პაციენტს.

– როგორ ბედავ თავხედობას?! ეს, შენ „მოდიხარ“, ჯერ რომ რძე არ შეგშრობია ტუჩებზე, თორემ მე, დიდისანია „მოსული“ ვარ და ალბათ თქვენისთანების წყალობით „წასვლის“ რიგიც მალე მოვა; ტყუილად კი არ მასწავლიდნენ, რომ „უკუში სითხისთვის, ორი გეომეტრიულად მსგავსი მოძრაობა, მექანიკურადაც მსგავსია, თუ მათ აქვთ ერთნაირი რეინოლდსისა და ფრუდის კოეფიციენტები... სიმეტრიული ტენზორის მსები კომპონენტები ნულია ორთოგონალურ სიბრტყეზე, რაც ტენზორის კერძო შემთხვევაა... ტენზორი ვექტორის განზოგადოებაა, ისევე, როგორც ვექტორი – სკალარისა... სინგულარული...

ექიმმა ვერაფერი გაიგო. ფიქრობდა, ხომ არ მაგინებსო. ახლა მას გაუფართოვდა თვალის გუბები და გაწიწმატებულმა კარისკენ მიანიშნა ნიშნისმოგებით მომღიმარე პაციენტს.

## ანონიმი

კვლევიითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეზე ეჭვი ჰქონდათ, რომ მარცხენა ხელითდაწერილ ანონიმურ წერილებს აგზავნიდა სამინისტროში. ისიც იცოდნენ, რომ მას ეხერხებოდა სახუმარო მეგობრული ხასიათის ერთ-ორსტროფიანი მიძღვნილი ლექსების წერა.

ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა დაბადების დღე მიელოცა ღირექტორისთვის და შეიკრიბა საზეიმო შეხვედრაზე. მრავალრიცხოვანი მისაღმებისა და მილოცვების შემდეგ ლაბორატორიის გამგეს სთხოვეს ექსპრომტად მიეძღვნა ლექსი იუბილარისთვის. მუხლებზე დადებული სქელი საქალაქიდან, აჩქარებული ფაციფუცით, დაადრო რაღაც ფურცელი, უცბად დაწერა ლექსი და

წაკითხვის შემდეგ, ტაშის გრიალში ღიმილით და რაღაცნაირი ლაქუცით გადასცა ღირექტორს:

*„ახალგაზრდებზე მზრუნველო მამავ,  
მეცნიერების ლაშქრავ მწვერვალებს...  
ნიჭიერების და სიბრძნის გამა,  
ჩვენ სასიკეთოდ კაშკაშ-ელვარებს.“*

ღირექტორმა მოკეცა ქალაქი და ის-ის იყო ჯიბეში უნდა ჩაეღო, რომ უკანა გვერდზე შეამჩნია რაღაც ტექსტი:

„უკვე მერამდენედ გატყობინებთ, რომ ჩვენი ღირექტორი გასაქანს არ აძლევს ახალგაზრდებს. სისტემატურად იგნორირებას უკეთებს მათ მოსაზრებებს. თავად მას არაფერი გაეგება მეცნიერების; უვიცი და დილეტანტია... თუ დროზე არ მოგვაშორეთ თავიდან...“

გონების დაკარგვამდე, ღირექტორმა შეამჩნია, რომ წერილი მარცხენა ხელით იყო დაწერილი.

## ეს მკრეხელობაა, ძმებო

გორიდან თბილისისაკენ გაჭიმული ავტომაგისტრალის იგოეთის მონაკვეთზე, კასპისკენ გადასახვევიდან სულ ასიოდ მეტრში (მარჯვენა მხარეს, უშუალოდ გზის პირზე) მდებარეობს პატარა ეკლესია.

სამარცხვინო და საზარელი ამბავი ხდება ამ ეკლესიასთან ყოველდღე და წლის ნებისმიერ დროს. გაუთავებლად ისვრიან (ეკლესიის მიმართულებით) ხურდა ფულს ავტომაქანების ჩამოწეული ფანჯრებიდან და თან დიდისაგბით იწერენ პირჯვარს ვაიმორწმუნენი და ვიტყოდი – უვიციები.

საქმე გვაქვს აბსოლუტურ უგუნურობასთან და ყოველადუხამს პიართან. იმასაც შეამჩნევთ თუ როგორ თავქუდმოგლეჯილები

დასდევნ მოგორავე მონეტებს იქმდგომი, ვითომდა ღვთისმსახურები თუ ოფიციალური მორიგეები და ერთმანეთის ჯობნის სურვილით შეპყრობილნი, ხშირად თავს იგდებენ საფრთხეში მანქანების უწყვეტი ნაკადის პირობებში.

შე, კაი კაცო (ქალო), თუ გსურს ჩაატარო შეწირულობის პროცედურა, განა ძნელია სულ 1-2 წუთით შეაჩერო მანქანა, გადმოხვიდე და ღირსეულად შეასრულო ის, რის დამტკიცებასაც ცდილობ მიუღებელი და შეურაცხყოფელი ფორმებით.

ის, რაც ხსენებულ ეკლესიასთან ხდება, არის წარმოუდგენელი მკრეხელობა, ანუ შეურაცხყოფა მორწმუნეთა მიერ აღიარებული სიწმინდეებისა.

### ნეტავ ახლო ვყოფილიყავი

საქართველოზე თავდასხმის გამო, ევროპის მხრიდან რუსეთზე ინტენსიური ზეწოლის პირობებში, აგრესორების პოლიტიკანები და სამხედრო პირები განაგრძობენ მუქარას მთელი მსოფლიოსა და განსაკუთრებით ნატოსა და აშშ-ის მისამართით – ამას ვიზამთ და ამას მოვიმოქმედებთო.

2008 წლის 8 ოქტომბერს რუსეთის დუმა-ს ერთ-ერთი წევრი (ანტიქართველობით გამორჩეული, ვინმე სერგეი მარკოვი) ტელეჟურ-ნალისტებს ეუბნება:

„მთელ მსოფლიოს ემინია რუსული ტანკების და უნდა ემინოდეთ კიდევ. ვინც ჩვენზე (რუსეთზე) ზეწოლას ახდენს, მინდა შევახსენო ნაპოლეონის და ჰიტლერის ამბები – რა დაემართათო“.

ენანობ, რომ ახლოს არ ვიყავი, თორემ აუცილებლად ვეტყვოდი: „შენ კი, ვინმე სერგეი, გავიწყდება, რომ ნაპოლეონისა და ჰიტლერის დამარცხებაში ლომის წილი მიუძღვით ქართველებს – პეტრე ბაგრატიონს და იოსებ სტალინს. ახლანდელი რუსეთი კი დარჩენი-

ლია გენერალ ხრულავის (კურდღელივით რომ გაიქცა ბრძოლის ველიდან) მსგავსი სამხედროებისა და შეწყვეტილი პრეზიდენტის, მედვედევ-პუტინის იმედად, რომელმაც სამხედრო საქმე ისე იცის, როგორც ამ სიტყვების ავტორმა იაპონური იეროგლიფები.

### საოცრება – რამდენი?

ჩემმა თაობამ (ახლანდელი ბავშვების შესახებ, აბა რა მოგახსენოთ?), ბავშვობის ასაკიდანვე იცოდა მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ (ბაბილონის დაკიდული ბალები, ეგვიპტის პირამიდები, ზევსის ქანდაკება, როდოსის კოლოსი, ალექსანდრიის შუქურა, არტემიდას ტაძარი და ჰალოკარნასის მუზეუმი).

მას შემდეგ სამოცდაათ წელზე მეტი გავიდა და ჩემი აზრით, ახალი საოცრებები გაჩნდა მსოფლიოში, თუმცა ჩვენ მანც, ჯიუტად განვაგრძობთ საუბარს მხოლოდდამხოლოდ შვიდ საოცრებაზე(!) – რალაცნაირად გაგვჯდომია სისხლსა და ხორცში, ჩაგვჭვდია გონებაში და ერთგვარ, მუდმივ და უცვლელ რეალობად მიგვანჩია.

მე კი ვფიქრობ, რომ საყოველთაოდ ცნობილ შვიდ საოცრებას, სულ თავისუფლად შეიძლება მიემატოს:

- კომპიუტერული სისტემები, ტექნოლოგიები და ტექნიკა;
- ფიჭური სატელეფონო ტექნიკა;
- ადამიანის მიერ მთვარეზე ფეხის დადგმა და კიდევ ერთი (ეს მხოლოდ ჩემი პირადი განცდაა!), ის რომ:

– კახელი გლეხი საკუთარი ხელით ჩეხავს საკუთარ ვაზს!! მომავალი თაობები, ალბათ სულ მალე, ისაუბრებენ მსოფლიოს მრავალათეულ საოცრებაზე, რომელთა შორის მნიშვნელოვან ადგილს უთუოდ დაიკავებს სხვა ციურ სხეულზე სიცოცხლის (თუნდაც სხვა ბიოლოგიური ფორმის) აღმოჩენის ფაქტი.

## მოვიპარე ჩემი წიგნი

წიგნი დღეს ძნელად იყიდება, ამიტომ აღარ ვცდილობ მათი რეალიზაციით (გამოცემული მაქვს 14 წიგნი) ნაწილობრივ მაინც ავინაზღაურო გაწეული ხარჯები.

მაგრამ ხალხმა (მკითხველმა) ხომ უნდა იცოდეს (გაიცნოს) ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ (აბა, რისთვის ვწერ?!), და გადავწყვიტე (დიდი ხანია) საჩუქრებად გავცე ნათესავებზე, მეზობლებზე, მეგობრებზე, კოლეგებზე და უცნობებზეც კი. ისე გამიტაცა გასაჩუქრების პროცესმა (უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ მაშინ, როდესაც ვიღაცას რაღაცას ვაჩუქებ, განსაკუთრებით კი წიგნს) რომ, როცა სამი-ოთხი წლის წინ გამოცემული ერთ-ერთი ჩემი წიგნი დამჭირდა – აღმოჩნდა, რომ სახლში აღარ მქონია არცერთი ცალი. არ მეგონა, თუ ასეთი რამ დამემართებოდა.

ჰოდა, ერთ-ერთი ჩემი ახლობელი კაცის ოჯახიდან მოვიპარე ჩემს მიერ გაჩუქებული წიგნი, საბედნიეროდ ავტორისეული წარწერის გარეშე.

დმერთმა მაპატიოს აღიარებული ცოდვა. ისიც მანუგეშებს, რომ უთქვამთ:

„წიგნის ქურდი, ქურდად არ ითვლებაო“.

## ფაქტია

რომ ადამიანების დაახლოებით 90 პროცენტს მეტ-ნაკლებად ეშინია თვითმფრინავით მგზავრობის, მაგრამ მათი, დაახლოებით 10 პროცენტი თუ აღიარებს ამას.

## ტყემალი

ადამიანების 95 პროცენტში ტყემლის ხსენებაც კი სიმჟავის (მჟავიანობის) ასოციაციას იწვევს, ზოგს კი პირის ღრუში მჟავე ნერწყვიც მოაწვება ხოლმე.

მაგრამ ხომ არსებობს ტყემლის ისეთი ჯიშები, რომლის ნაყოფიც მომწიფების შემდეგ საკმაოდ ტკბილია.

მაგრამ რას ვიზამთ, ჭეშმარიტად განუყოფელია ორი სიტყვა „ტყემალი“ და „სიმჟავე“.

აბა რა ტყემალია ის ტყემალი, რომელიც არ არის მჟავე(!)

ახლა კი გამოდის, რომ მეც ზემოთხსენებულ 95 პროცენტს ვეკუთვნი.

## დიდი ტრაგედიის მცირე ნაწილი

2008 წლის 21 სექტემბერს ტელევიზიით გადმოსცემდნენ ინტელექტუალურ პროგრამას ბავშვებისთვის „ყველაზე ჭკვიანი“.

დაახლოებით 15-16 წლის გოგონამ არ იცოდა დიდი გმირის, სააკაძის სახელი, ნონა გაფრინდაშვილს იცნობს როგორც ჩოგბურთელს და ნინო ანანიაშვილი ჰგონია კალათბურთელი?!  
ვაი, სირცხვილო!

არ შემიმოწმებია (არც ვაპირებ), მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ გოგონამ კარგად იცის ვინ არიან: ელვის პრესლი, ტომ კრუზი, მარიო ჩიმარო და ა.შ.

დამერწმუნეთ, ეს პატარა ერის დიდი ტრაგედიაა.

## ასე „ვმდიდრდებით“

ბოლო 20-25 წლის განმავლობაში, ქართულ სასაუბროში შემოიჭრა და ადგილი მყარად დაიკვიდრა მრავალმა ისეთმა სიტყვამ (ტერმინმა, გამოთქმამ), რომელსაც ადრე ან საერთოდ არ ვიყენებდით, ან ძალიან იშვიათად.

ვფიქრობ, ეს გარემოება გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, როგორცაა: ტექნიკური პროგრესი, ჰუმანიტარული დარგების განვითარება, მოდა, მიმბაძველობა, „პოკაზუნობა“, კოსმოპოლიტიზმისაკენ ლტოლვა და ა.შ.

აი, ზოგიერთი ასეთი სიტყვა: ალტერნატივა, კონსენსუსი, ბროკერი, დილერი, რეპი (რეპერი), როკი (როკერი), თინეიჯერი, რეინჯერი, კასტინგი, მონიტორინგი, ტრენინგი, დისტრიბუცია, მენეჯერი, მენეჯმენტი, პლეიბოი, სკაუტი, მარკეტი, კვადროციკლი, მარკეტი (ნგი), საიტი, ვებ-გვერდი, დისკეტი, ფაილი, მაუსი, პამპერსი, კატრიჯი, სკანერი, ტენდერი, სპიკერი, პრინტერი, მესიჯი, ესემესი, მარიოტი, სპაიდერმენი, იპოთეკა, შოუ-ბიზნესი, ბიზნესმენი, ლაითი და ა.შ. და ა.შ. და ბოლოს: „აუ“, „კაროჩე“, „დავაი“, „სპასიბო“ (თითქოს ქართულში არ გვქონდეს ამ ჟარგონების სანაცვლოდ სასიამოვნოდ ფლერადი (რაც მთავარია - მშობლიური) სიტყვები!

აი, ასე „ვმდიდრდებით“(!)

\* \* \*

გახსოვს, აჩქარებული ნაბიჯით მიმავალმა, როგორ გაჰკარი მხარი ჯოხზე დაყრდნობილ მოხუც ქალს, წააქციე და ისე გააგრძელე შენი გზა, რომ თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სინდისის ქენჯნას არ შეუწუხებინარ, რომ აღარაფერი ვთქვა უძლური მოხუცისათვის დახმარების აღმოჩენაზე ან ბოდიშის მოხდაზე.

დაფიქრებულხარ იმაზე, რომ ერთდროს შენც გახდები მოხუცი?!

## როგორ მოგწონთ?!

„ცხინვალში აფეთქების შედეგად შვიდის ნაცვლად თერთმეტი ადამიანი დაიღუპა“ (ტელეარხი „იმედი“. 5 ოქტომბრის 13<sup>00</sup> საათი).

ნათქვამი ალბათ ასე უნდა გავიგოთ: „შვიდის განადგურება ყოფილა დაგეგმილი, მაგრამ დაიღუპა თერთმეტი(!)“

რას არ მოისმენს კაცი?!

## ვინ, სად, როდის?!

უკვე დიდი ხანია, რაც ფოტოსურათები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად იქცა. დამერწმუნებით, რომ დიდ ინტერესს იწვევს რამდენიმე ათეული წლის წინ გადაღებული სურათები. ხშირად კი ფოტოსურათებიდან ჩვენთვის უცნობი ადამიანები გვიცქერიან და ვერ გაგვირკვევია თუ ვინ, ვინ არის, ან სად და როდის, რა პირობებშია გადაღებული ესათვის სურათი.

არცთუ იშვიათია, როდესაც გაზეთების საშუალებით, ადამიანები სთხოვენ მკითხველებს დაეხმარონ პიროვნების ამოცნობაში და ა.შ.

შე კარგო ადამიანო, ამდენი გიწვალა (სპეციალურად გამოწვობილხარ, ახალი ვარცხნილობა გაგიკეთებია, ჰალსტუხი მოგიგია, ატელიეში გირბენია, ფული გადაგიხდია) და ის როგორ გაგიჭირდა, რომ ფოტოსურათი გადმოაბრუნო და უკანა, საკმაოდ სუფთა და საკმარის ფართობზე მიაწერო (გინდა მარცხნიდან მარჯვნივ, გინდა პირიქით) თუ ვინ არიან გამოსახული ფოტოზე, სად და როდის „გამოფრინდა ჩიტი?!“

ამით ხომ საქმეს გავუადვილებთ ჩვენ მომავალ თაობებს, რომელთათვისაც დღევანდელი ფოტოსურათები ისეთივე საინტერესო და

ისტორიული მნიშვნელობის იქნება, როგორც ჩვენთვის გასული საუკუნის დასაწყისის ან თუნდაც შუა პერიოდისა.

მაშ, ნუ დაიზარებთ და მოიმარჯვეთ კალამი, ან როგორც დღეს ხმარობენ – პასტა.

## დალოცვა თუ წყევლა

მოხუცი ქალი მინის გამჭვირვალე კარებს შეეჯახა. იქვე მდგომი ახალგაზრდა სიცილისაგან ლამის გაიგუდა.

– ისე დაგემთავრებინოს სიცოცხლე, რომ მხედველობა არ დაგკლებოდესო, – მიამახა გამწარებულმა დედაბერმა.

## სიბუნწე

„არა მგონია, რომ ადამიანის სიბუნწის მთავარი და ერთადერთი მიზეზი იყოს ქონების, ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობების დეფიციტი. ჩემი აზრით, სიბუნწის ფენომენის ჩამოყალიბებაში მრავალ ფაქტორს უღვევს წილი, რომელთა შორის, ასე მგონია, მნიშვნელოვანია მაინც: გენეტიკური საფუძვლები, განათლებულობის ხარისხი, ოჯახური თუ გვაროვნული ტრადიციები და ნიშან-თვისებები, აღზრდის მეთოდები და მისაბამი მაგალითის არსებობა-არარსებობის საკითხი.

ისე კი, სიმართლე რომ ვითხრათ, ძალიან საცოდავად გამოიყურება ბუნწი ადამიანი.

ერთი ნაცნობი თავის, მართლაც ბუნწ მეგობარს იცავდა და მიმტკიცებდა – ეგ კაცი ბუნწი კი არა, მომჭირნეაო.

გუსხნილი ჩემ ნაცნობს, რომ „მომჭირნეობა“ სულ სხვა დატვირთვის მატარებელი სიტყვაა მეთქი, მაგრამ რა...

ისე კი, მართლაც საცოდავია ბუნწი კაცი, ანუ კაცი, რომელსაც

ესათვის რამ უამრავად აქვს, რომ იტყვიან „არ იცის სად წაიღოს“ და ერთი ღერიც კი ენანება სხვისთვის და არა მარტო სხვისთვის – საკუთარი თავისთვისაც კი!

ვაი, შენს თავს უბედურს, ბუნწო კაცო!!

## ხუთი შეგონება

თუ გსურს, რომ რაც შეიძლება მეტის გაკეთება მოასწრო სიცოცხლის განმავლობაში (თუმცა არიან (იყვნენ) ადამიანები, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც აკეთებენ ბევრ სასიკეთო რამეს):

1. ყველაფერი გააკეთე თავის დროზე;
2. ყველაფერს მიუჩინე თავისი ადგილი;
3. შენი გასაკეთებელი – აკეთე შენ თვითონ (იშვიათი გამო-ნაკლისის გარდა);
4. დიდი იქმნება პატარ-პატარა ნაწილებით, ბევრი იქმნება ცოტა-ცოტას შეკრებით და ყველაფერი ეს კეთდება თანდათანობით და არა უცბად;
5. ჩვევად აქციე და შეისისხლხორცე პირველი ოთხი შეგონება.

## გაგება

სიტყვა „გაგებას“ რამდენიმე ინტერპრეტაცია შეიძლება მოუძებნოს ადამიანმა:

1. როცა დაინტერესდები, მიიკითხ-მოიკითხავ და რაღაცა ამბავს გაიგებ („...გაიგე ერთი სად არის ნიკო“, „...გაიგე როდის ჩამოდის თამაზი“, „...გაიგე, რა მოხდა მეზობელთან“ და ა.შ.)
2. შენი სმენის ორგანოებით რაღაც ხმაურს გაიგებ; გაიგებ მხოლოდ ბგერის გავრცელების მექანიკური სიხშირისა და ყურების

ბუნებრივი მემბრანების შესაბამისი რეზონანსის წყალობით. ანუ, გაიგებ ხმას და მრავალწლიანი შეგუებულობისა და ყოველდღიური ჩვევის გამო არ ინტერესდები მისი წარმოშობის მიზეზითა და მოსალოდნელი შედეგებით (ქუხილი, მანქანის ხმა, ელმაგალის კივილი, საათის წიკწიკი და სხვა) და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი „გაგება“ –

3. როდესაც ადამიანი გესაუბრება თავისი პირადი გაჭირვების შესახებ და შენ შეგწევს უნარი გაიგო მისი ნათქვამი არა მხოლოდ მექანიკურად (ყურის ელემენტების საშუალებით), არამედ შინაარსით, მიზეზ-შედეგობრიობის გათვალისწინებით, გულთან ახლოს მიტანით, თანაგრძნობით და ტვირთის სიმძიმის გადანაწილების სურვილით და ა.შ.

ჩემი აზრით, სწორედ ასეთი უნდა იყოს სიტყვა „გაგების“ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გაგება.

## მობილური

მართლაც რომ საოცრებაა ეს მობილური ტელეფონი. მაგრამ საოცარია ადამიანების ზოგიერთი თვისებაც – ვიცით, რომ ნებისმიერი რიცხვი ან რიცხვთა (ციფრთა) ერთობლიობა იკითხება (და გამოითქმება) მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ მავანი (დიდი უმრავლესობა) არღვევს ამ წესს და თავს უფლებას აძლევს მობილური ტელეფონის ნომერი ვიკარნახოს მხოლოდ ბოლო 6 ციფრით. მერე აუცილებლად უნდა შეეკითხო, რომელი სისტემაა „ბალი“, „ჯეოსელი“, „მაგთი“ თუ კიდევ სხვა რამ. მხოლოდ დამატებითი შეკითხვის შემდეგ ვიპასუხებს მავანი პირველ სამ რიცხვს, ანუ სისტემის კუთვნილ კოდს.

შე კარგო ადამიანო, არ ჯობია თავიდანვე მარცხნიდან მარჯვნივ წაუკითხო (უთხრა) ყველა 9 ციფრი, რატომ ელი დამატებით

შეკითხვას?!

ეს ან მოდაა, ან ჩვევა, ან კიდევ სხვა რამ. რას ვიზამთ, მობილური ტელეფონიც ხომ მოდაა და მერე როგორი!

## ნაცვალსახელებით საუბარი

ზოგიერთ ადამიანს ახასიათებს საუბრის დროს ნაცვალსახელების მოჭარბებული ხმარება, რაც გარკვეულ უხერხულობას და ხშირად სრულ გაუგებრობას იწვევს ხოლმე მსმენელებში.

„იმან ის გააკეთაო?“ – მეკითხება ერთხელ მეზობელი და გამინაწყენდა, რად მიგვიანებო პასუხს. მიდი და უპასუხე, თუ კაცი ხარ (!)

ანდა, მიყვება ერთი ჩემი ახლობელი ქორწილის ამბავს: „როცა იმას უთხრეს, რომ ენას კბილი დააჭირეო, ადგა და თავისი ძმის ცოლის დისშვილს იმ კაცზე უთხრა – მას, რომ ის თავის დროზე მოეტანა ჩვენც ახლა იქ ვიქნებოდით და მათაც შევხვდებოდითო“.

წარმოგიდგინათ (?): „იმას“, „თავისი“, „იმ“, „ის“, „იქ“, „მათაც“ და ა.შ. შეეცადე და გაიგე რაზეა საუბარი.

საქმე კი იმაშია, რომ იმ ადამიანს, რომელიც ასე ყვება რაღაც ამბავს, ყველა ის პერსონაჟი, რომელთა შესახებაც არის საუბარი და სიტუაცია, რომელშიც ამბავი მიმდინარეობს, თვალწინ უდგას და საუბრისას ნათლად აქვს წარმოდგენილი – ვინ, ვის რას ეუბნება, ან ვინ როგორ იქცევა.

მსმენელისთვის კი ასეთი მანერით საუბარი გაუგებარიც არის და ხშირად აუტანელიც. ამიტომ არის, რომ ასეთი მოსაუბრის მონაყოლი ბევრჯერ ვერ იმსახურებს ინტერესს და მასაც ყურადღებას აღარ აქცევენ.

## დაბადების დღე?

ტრადიციის (დიახ, ტრადიციის) მიხედვით, ადამიანები წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ ხოლმე „დაბადების დღეს“ – ვთქვათ: 4 აპრილს, 1 სექტემბერს, 10 ოქტომბერს და ა.შ.

მე ასე ვაყენებ საკითხს: ეს არ არის დაბადების დღე, არამედ არის დაბადების თვე და რიცხვი. ნამდვილი დაბადების დღე კი ის არის, თუ კვირის რომელ დღეს დაიბადა ესათუის ადამიანი, სამშაბათს, ხუთშაბათს თუ შაბათს. აი, ეს არის დაბადების დღე. მე, რატომღაც, ასე მჯერა.

სადღესასწაულო სუფრით და შესაბამისად, მეგობრების მილოცვებით და საჩუქრებით – ალბათ, უნდა აღინიშნოს წელიწადში ერთხელ დაბადების თვე და რიცხვი.

რაც შეეხება დაბადების დღეს, ის ადამიანს აქვს ყოველ კვირაში ერთხელ და, კი ბატონო, თუ აქვს სურვილი და შესაძლებლობა, იზეიმოს ყოველ კვირაში ერთხელ – თავისი დაბადების დღე.

შეიძლება, საკითხის ამგვარად დაყენებამ მკითხველში ღიმილი და გაკვირვება გამოიწვიოს. რას ვიზამთ – ძნელია „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“, მაგრამ არა მგონია საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციას რაიმე დავაკლო?!

ღიმილი ხომ შემრჩება?!

## მოდური ვარცხნილობა და ჩვევა

ერთი ტელეწამყვანი ქალბატონი გაუთავებლად იქნევს თავს და ცდილობს თვალბზე ჯიუტად ჩამოფარებული თმის ბლუჯა (კულუღი) როგორმე მოიშოროს. ხანაც ხელით ცდილობს ამას,

მაგრამ აბეზარი ბლუჯა მაინც თავისას არ იშლის. ტელეწამყვანიც განაგრძობს თავის პროგრამას და თავის ქნევას (შე დალოცვილო, განა შენი სურვილით და დაკვეთით არ გაგიკეთეს ეს ვარცხნილობა?!). ასე გაგრძელდა თითქმის ერთ წელიწადს და უკვე შეეჩვია ტელემაყურებელი იმ ტელეწამყვანის თავის ქნევას.

ერთ მშვენიერ დღეს ხსენებული ტელეწამყვანი მაყურებლის წინაშე წარდგა ახალი, ე.წ. ბიჭური ვარცხნილობით (მოკლედშეჭრილი თმით, ისეთით, რომ სავარცხლის კბილები ნახვევრადაც ვერ დაიმალება).

მადლობა ღმერთს, გავიფიქრე მე. ძალიან უხდებოდა ახალი ვარცხნილობა – უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელი გახლდათ, მაგრამ რა გინდა რომ ქნა?... თავს ისევ ძველებურად იქნევდა...

ასეთია ჩვევა!

## მიკვირდა

ახალგაზრდობაში სულ მიკვირდა და ვერ ვგებულობდი, წამდაუწუმ. რატომ იხსნიდნენ და მერე ისევ იკეთებდნენ სათვალეებს ტრიბუნასთან მდგომი ხანშიშესული მომხსენებლები: ტექსტს თუ კითხულობდნენ – იკეთებდნენ, თუ დარბაზს გადახედავდნენ და თვალს მიმოავლებდნენ მსმენელებს – მაშინ სათვალეებს იხსნიდნენ. ვერ ვგებულობდი და არც არავის ვეკითხებოდი. ისე კი, ძალიან მიკვირდა და უცნაურ საქციელად მეჩვენებოდა.

ახლა კი, როცა მერვე ათეულში გადავაბიჯე, ყველაფერს მივხვდი და აღარც მიკვირს.



## მწერი?!

სიტყვა „მწერის“ მოსმენა ან წაკითხვა ჩემში (და ვფიქრობ, არა მხოლოდ ჩემში) საზიზღარ და არასასურველ ასოციაციას იწვევს. თვალწინ წარმომიდგება ხოლმე: რწყილი, ტილი, მატლი, კოლო, ბუზი, ობობა, კალია და ა.შ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანებმა, მწერების ე.წ. ჯგუფს, მიაკუთვნეს ფუტკარიც(!) მართლაც რომ სამწუხაროა და გარკვეული მოსაზრებით – პარადოქსალურიც. რა უნდა პარაზიტებთან ერთად ფუტკარს?

ალბათ დროა – ადამიანებმა ფუტკარს მოუძებნონ უფრო კეთილშობილური ჯგუფი. ხომ გვანსოვს ოთარ რამიშვილის სიმღერა: „...კაცს თაფლი მისცეს და ღმერთს სანთელი...“

## რეკლამა თუ ანტირეკლამა?

აქტიური და მრავალმხრივი რეკლამის აუცილებლობა მოიტანა საბაზრო ეკონომიკამ.

რას და როგორ აღარ უწევინ რეკლამას საინფორმაციო საშუალებები: პრესა, რადიო და ტელევიზია. რეკლამა კი ზოგი მოსაწონია, ზოგი გაუგებარი, ზოგი პრიმიტიული, ზოგიც კი ალბათ აბსურდულიც. (რას ვიზამთ – რეკლამა ხომ „ახალი ხილია“ ჩვენთვის).

მრავალი რეკლამა მოგვისმენია, წაგვიკითხავს და გვინახავს, მაგრამ ისეთი რეკლამა კი, რომელიც ამათუიშ პროდუქციის შექმნის საწინააღმდეგოდ განგაწყობს – იშვიათია.

და, სწორედ ასეთი იშვიათობის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ახალი ქართული ლუდის „არგოს“ სატელევიზიო რეკლამა: ახალგაზრდა კაცი (მგონი მომღერალი ზ. დოიჯაშვილი), ლუდს

მიირთმევს (ბოთლის მიხედვით „არგოს“) და ისეთი გაჭირვებული და გატანჯული სახის მიმიკა აქვს, რომ გვეგონებათ საყლაპავ მილში ძვალი გაეჩხირაო.

რეკლამაც ასეთი უნდა!!!

## ქვაბი

აბა დააკვირდით (თუ გაქვთ სურვილი და დრო) ქუჩაში, ბაზარში ან სხვა ადგილზე გასაყიდად გამოტანილ ახალ ქვაბს – განსაკუთრებით დიდ ქვაბს, რომლითაც მეოჯახე დიასახლისი უფრო მეტად არის დაინტერესებული. პოტენციური ათი მყიდველიდან, ცხრა მათგანი მაინც, აუცილებლად ახდის სახურავს და შიგ (ქვაბში) ჩაიხედავს.

ნეტავ რას ეძებენ შიგ?!

## მზესუმზირა

დაკვირვებული ვარ: როდესაც მზესუმზირას მივირთმევ (არადა, ძალიან მიყვარს – განსაკუთრებით კახური, კარგად მოხალული), ძალიან ხშირად, ბოლო მარცვალი მხვდება რაღაცნაირად მწარე და მძაღე, ან გადახალული (ამასაც ბედი უნდა?) ისე, რომ წყალში მეყრება მთელი სიამოვნება, მიუგემურდება პირის გემო. ამის გამო დიდიხანია მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება: „არ შევჭამო ბოლოსწინა ორიოდე მარცვალი მანამ, სანამ არ დავრწმუნდები ბოლო მარცვლის ვარგისიანობაში.“

## კალენდრიდან გამომდინარე

როდესაც გადავხედე 2009 წლის კალენდარს და რაღაცეები გადავთვალ-გადმოვთვალე – გოცებისგან პირი დავაღე (კალენდარი ადრეც მინახავს და დაკვირვებით შემისწავლია, მაგრამ ის, რამაც ეს სიტყვები დამაწერინა, როგორღაც არ შემინიშნავს).

აღმოჩნდა, რომ წელიწადის **365** დღიდან **118** დღე (შაბათ-კვირებით) მთელი საქართველოსთვის არის უქმე (დასვენების) დღეები. ე.ი. ეკონომიკურად დაბალ დონეზე მყოფი ე.წ. განვითარებად ქვეყნად წოდებული ჩვენი სამშობლო, თავს უფლებას აძლევს წელიწადის თითქმის ერთი მესამედი (რაღა უკლია) დროის განმავლობაში დაისვენოს (!) მართლაც რომ კურიოზული ფაქტია, ჩვენაირ სოციალურ პირობებში მყოფი ერისთვის.

კი ბატონო, ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო პრინციპების მიხედვით – მომუშავე ადამიანები უნდა ისვენებდნენ კიდევ, მაგრამ **ამდენს (?)** – შვებულებაც ხომ არსებობს?! ესეც კიდევ დაახლოებით 20 დღე და გამოდის, რომ „ვნებივრობთ“ წელიწადის ერთ მესამედზე მეტს.

დიდება შენდა, ღმერთო!

## დაკვირვების შედეგი

მასწავლიდნენ, რომ გარეგნული სილამაზე, ეს არის: აშოლტილი ტანი, ძლიერი მკერდი, სახის მიმზიდველი ოვალი, ცისფერი თვალები, გრძელი და სწორი ფეხები, სანთელივით ჩამოქნილი თითები, მარწყვისფერი ტუჩები, მოხდენილი სიარული, დროის შესაფერი ჩაცმულობა და ა.შ.

ასეთი დამოდვრის შემდეგ, ჩემდაუნებურად ჩამომიყალიბდა

აზრი, რომ გარეგნული შეუხედაობა (არამიმზიდველი იერი) არის: დაბალი ტანადობა, ჩავარდნილი მკერდი, სწორკუთხოვანი სახე, გაურკვეველი ფერის თვალები, მოკლე და დაგრეხილი ფეხები, კოტიტა თითები, ფერმკრთალი ტუჩები, ბატის მსგავსი სიარული, ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი და ა.შ.

ასეთი „ცოდნით“ დატვირთულმა, თავად სტუდენტმა, განვახორციელე ორწლიანი დაკვირვების პროგრამა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე, რის შედეგადაც მივედი შემდეგ (არაორდინალურ?!!) დასკვნამდე: გარეგნული სილამაზით და მომზიბულელობით გამოირჩეოდნენ (მცირე გამონაკლისით) ე.წ. ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტები – ისტორიკოსები, ფილოლოგები, გეოგრაფები, უცხო ენების შემსწავლელები, აღმოსავლეთმცოდნეები და სხვა; ხოლო შეუხედაობით და არამიმზიდველი გარეგნობით გამოირჩეოდნენ (მცირე გამონაკლისით): მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მანქანათმშენებლები, მეტალურგები და ა.შ.

## გასაკვირი ფაქტი

ცნობილია, რომ ჩინელები (იაპონელ, კორეელ და ვიეტნამელებთან ერთად) განეკუთვნებიან დაბალტანიანთა კატეგორიას. ამდენად გასაკვირია, მაგრამ ფაქტია (ტელეარხი „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, 2009 წლის 20 აპრილი), რომ დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე მაღალტანიანი არიან (ჯერჯერობით მხოლოდ ორი) სწორედ ჩინელები – ერთი მათგანის სიმაღლეა 2 მეტრი და 36 სანტიმეტრი (შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში), ხოლო მეორის (ემზადება წიგნში შესასვლელად) სიმაღლეა 2 მეტრი და 46 სანტიმეტრი (!)

## განცხადებები

- დამეკარგა ხუთი ლარის ღირებულების ქუდი. მპოვნელი დაჯილდოვდება ათი ლარით.
- ქართული ფირმა „გრუნინსკაია“ მოდური ფეხსაცმელების მოყვარულთ სთავაზობს ჩეხურ „ვენგერებს“.
- ზარმაც კატებს შეუძლიათ შეგვიკვეთონ პულტით სამართავი ხაფანგები.
- ყველაზე ჭკვიან ადამიანად მიმაჩნია ჩემი ცოლისძმის ერთადერთი დის ვაჟიშვილის მამა.
- ჩავიბარებ ნახმარ ქალებს საბაზრო ფასებში.
- სალიარკა პოსლეზე, ზაპრაჟკის გვერდით. იკითხამთ სეროჟას.
- კახური ჩურჩხელა ირანული აბრეშუმის ძაფით.
- გაყიდვაში გვაქვს ურეზინო ტრუსები ღი პიანებისათვის.
- გაყიდვაშია სააკვარიუმე წყლით პირსავსე ჭორიკანა თევზები.
- სააფთიაქო ქსელში მიღებულია ხვრინვის საწინააღმდეგო წამალი. მიღების წესი: ერთი აბი ხვრინვიხ დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ.

## თავიდათავი

სად არის „დამარხული ძაღლის თავი“, რა იწვევს ადამიანების: უვიცობას, უკულტურობას, უხამსობას, უმეცრებას, უზრდელობას, თავხედობას, ამბიციურობას, უზნეობას, უტიფრობას, სირეგვენეს, უმადურობას და სხვა ათასნაირ უმსგავსობას?

– რაღა თქმა უნდა – **გ ა უ ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ბ ა**

## ცისფერთავშლიანი

შეციებული, ცისფერთავშლიანი ქალბატონი გზისპირზე იდგა და გამკლელ ავტობუსებს ენერგიულად უქნევდა ხელს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა მძღოლმა შეუჩერა მანქანა და ისიც სასწრაფოდ შეეტენა ხალხით, ჩანთებითა და კალათებით გადაძებგილ სალონში. ცოტა მოთბა და დამშვიდდა – ენად გაიკრიფა: შენ კი გიშველის ღმერთი – მიმართა მძღოლს; დიდხანს იცოცხლე, რომ სიცივით გაყინვას გადამარჩინე. ღმერთმა კარგად გიმყოფოს ოჯახი; გეტყობა, კაი ვაჟკაცი ხარ. გვიმრავლოს შენისთანები – დაამთავრა დალოცვა, ფეხი მოინაცვლა და უფრო შინაურულად იგრძნო თავი უცხო სხეულებს შორის ჩატენილმა.

სულ მალე მძღოლმა გზისპირად მდგომ ბავშვიან ქალს გაუჩერა მანქანა და ასვლაშიც მიეხმარა.

ცისფერთავშლიანმა ერთი ამბავი ატეხა: რა არის, ვის გაუგია ავტობუსის ყოველ ნაბიჯზე გაჩერება; ადგილიც არ არის, ერთმანეთს თავზე ხომ არ დავასხდებით; შენი ავტობუსი, რეზინისა ხომ არ არის; რა, არ უნდა იცოდე ზომა-წონა; ფულზე დახარბებულხარ და ეგ არი; აუცილებლად შენ უნდა წაგეყვანა, სხვები ცოტანი დაქრიან ამ ტრასაზე?! – აღარ ჩერდებოდა გაკაპასებული ცისფერთავშლიანი, მაგრამ მას უკვე აღარავინ უსმენდა. მხოლოდ დედის მკერდზე მიყრდნობილი, ცხვირ და ლოყებაწითლებული ბავშვი უცქეროდა გაკვირვებული თვალებით.

## საოჯახო ჯიხურში

სანდომიან გამყიდველ გოგონას მიაღდა ჭადაროსანი მამაკაცი სქელლინზებიანი სათვალით და ცოლის მიერ ჩამოწერილი

საყიდვების სიით.

– გოგონი, ამიწონეთ 850 გრამი კარაქი. გოგონამ აწონა და კალკულატორისკენ წაიღო ხელი.

– ნუ წვალობთ, თქვენ გეკუთვნით 2 მანეთი და 72 კაპიკი, ანუ ტრადიციის გათვალისწინებით 2 მანეთი და 75 კაპიკი.

გოგონა განაგრძობდა კალკულატორის წვალებას. როცა დარწმუნდა მყიდველის სიზუსტეში, გაოცებით შეხედა მას და ფული უჯრის განყოფილებებში გადაანაწილა.

– ახლა გთხოვთ ამიწონოთ 650 გრამი ბრინჯი. გოგონამ ისევ კალკულატორის კლავიშებზე აათამაშა თავისი ლამაზი თითები.

– ისევ წუსდებით? არ გინდათ. თქვენ გერგებათ 84 კაპიკი.

გოგონამ მაინც ბოლომდე აჩნაკუნა კალკულატორი და უკვე საბოლოოდ გაოცებულმა მიითვალა 85 კაპიკი.

– ახლა გთხოვთ მომცეთ 16 კვერცხი.

გამყიდველს აღარ უსარგებლია კალკულატორით. სრულად მიენდო ჭალაროსანს და მიიღო 1 მანეთი და 80 კაპიკი, ნაცვლად 1 მანეთისა და 76 კაპიკისა, რაც მყიდველმა იანგარიშა.

– ახლა იწყება მთავარი; ხაზი გაუსვა ნათქვამს მოხუცმა. მომეცით: 1,2 კგ ყველი; 250 გრ მარგარინი; 350 გრ არაჟანი; 1,5 კგ შაქარი; 2,2 კგ ფქვილი; 1,5 ლიტრი ზეთი, 350 გრ თხილის გული.

გოგონა ავტომატურად წონიდა და აწვდიდა, წონიდა და აწვდიდა და თან სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მოხუცმა ყველაფერი ჩაალაგა ჩანთაში, გაუწოდა 12 მანეთი და 75 კაპიკი და სწრაფად გაუყვა გზას.

გოგონა მონუსხულივით იდგა და გაოგნებული თვალებით გასცქეროდა სივრცეს; ხელში ჩაებლუჯა ფული და ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა. საღამოს კი, როცა შეაჯამა გასავალ-შემოსავალი, აღმოაჩნდა 4 მანეთის დანაკლისი.

1991 წ.

## ზომ არ გეშინია

უშიშარი ბუნების ადამიანი გახლავთ ირინა. არასდროს შემკრთალა და შემდრკალა უმძიმესი საშიშროების წინაშეც კი. არც უკუნეთ დამეში ეშინოდა სასაფლაოზე გავლა-გამოვლის და არც რუსული თვითმფრინავების მიერ მშობლიური ქალაქის დაბომბვისა.

ერთხელაც ექიმებმა აუწყეს უმძიმესი ოპერაციის აუცილებლობის შესახებ. მას წარბიც არ შეუხრია და ჩვეული სიმშვიდით შეხვდა არასასიამოვნო ცნობას.

რამდენიმე ათეულმა ახლობელ-მეგობარმა ინახულა და რატომღაც ყველა, შეთანხმებულივით, მოძღვრავდა: „არ შეშინდე, იოლია“, „ზომ არ გეშინია?“, „მთავარია არ შეშინდე“, „ვერაფერს გაიგებ, ხელში აიყვანე თავი და არ შედრკე“, „შიში არ შემოგეპაროს“ და ა.შ. გაუთავებლად და შეუწყვეტლივ.

თავიდან ღიმილით შეხვდა ირინა „გამამხნეველ პროცედურებს“ და გულდაჯერებული და თავის თავში დარწმუნებული ღიმილით პასუხობდა: „არ მეშინია, ხალხო“, „როდის იყო ასეთი რამის მეშინოდა“, „სულაც არ მეშინია“ და ა.შ. და მართლაც არაფრის ეშინოდა. მერე კი თანდათან ეჭვი შეეპარა თავის უშიშროებაში, დაიწყო ნერვიულობა, ყოფილი პაციენტების გამოკითხვა, სამედიცინო ლიტერატურის ქექვა და სხვა, თუმცა ექიმების ფსიქოლოგიურმა ტესტმა თავისი გაიტანა და ირინაც დამშვიდებული და საკუთარ ძალებში დარწმუნებული წამოწვა საოპერაციო მაგიდაზე.

## ვა-ბანკი

საკმაოდ პოპულარულ შოუ-პროგრამის, „ვა-ბანკის“ (რომელშიც უპირატესად მატერიალურად უზრუნველყოფილ პიროვნებებს

ეპატიუებიან სათამაშოდ და გასართობად) მიმდინარეობის ერთ-ერთ ეტაპზე, ბანკმა მოთამაშეს შესთავაზა 6 (ექვსი) ათასი ლარი; შერჩეული „მისი“ კეისის სანაცვლოდ.

გულშემატკივარ ნათესავ-ახლობელთა უმრავლესობამ შეთავაზებულ თანხაზე უარის თქმა და თამაშის გაგრძელება შესთავაზა. მოთამაშეს მხოლოდ შვილიშვილი, პატარა რეზო ემუდარებოდა პაპას: დათანხმდი შემოთავაზებას, აიღე ეს საკმაოდ სოლიდური თანხა და დაამთავრე თამაშიო.

პაპამ არ ისმინა შვილიშვილის მუდარა და დახარბებულმა და ასევე გულშემატკივართა წახალისებით გათამაშებულმა ცხოველური აზარტით განაგრძო თამაში დიდი თანხის მოსაგებად.

თამაში დამთავრდა და პაპამ მოიგო ის ერთი ლარი, რომელიც მის მიერ შერჩეულ კეისში იღო.

პატარა რეზოს თვალები აუცრემლიანდა. ნუ ტირიო, უთხრა პაპამ. ის 6 ათასი ლარი არ აგვაშენებდაო.

სამაგიეროდ რამდენი ჩემი თანატოლი ბავშვისთვის შეგვეძლო დახმარება, რომლებიც ხელგამოწვდილები მათხოვრობენო, სლუკუნით უპასუხა რეზომ.

### განაწყენებული შვილი

რა ყურებჩამოყრილი დადინარ, რად მებუტები, დაგიშავე რამე?  
– ეკითხება მამა ნაბოლარა ვაჟიშვილს.

– დაღონებული ვიქნები, აბა რაა?! დედაჩემს უფრო მეტ პატივს სცემ და ყურადღებას უთმობ, ვიდრე მე...

– დედაშენს ორმოც წელიწადზე მეტია რაც ვიცნობ, მე და შენ კი მხოლოდ ოცდარვა წლის ნაცნობები ვართ, – უპასუხა მამამ.

### მეორე ოპერაცია

ურთულესმა ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ცოლის სანახავად მისულ ქმარს გუწრფელად შეეცოდა ოჯახის დიასახლისი გადატანილი ტკივილებისა და თანმხლები ნერვიულობისა თუ წვალების გამო. თვალწინ წარმოუდგა შემთხვევები, როცა ნებსით თუ უნებლიეთ, ატკინა გული, აწყენინა და ბევრი თხოვნა არ შეუსრულა. გული უკვდებოდა მეუღლის ტანჯვით და იმასღა ფიქრობდა, რომ რაიმე განსაკუთრებულთ გაეხარებინა და სასიამოვნო სიურპრიზები დაეხვედრებინა.

ცოლი სახლში დაბრუნდა თუ არა, უმაღვე შეამჩნია ბევრი სიანღე და მართლაც სიურპრიზი. რაც ქმარს არ გაუკეთებია ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში - მოუსწრია ორ კვირაში: მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, ნომრის ამომცნობი ტელეფონი, ორმაფსკერიანი სხვადასხვა მოცულობის ქვაკები, ტეფალის ტაფები, სამზარეულოს ატრიბუტიკის ჩასალაგებელი უჯრებიანი პატარა კარადა, იაპონური უთო და მრავალი სხვა; ცოლმა უზომოდ გაიხარა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სთხოვა ქმარს წასულიყო ექიმებთან და მოლაპარაკებოდა მათ, რათა სასწრაფოდ გაეკეთებინათ ოპერაცია მეორე ფეხზეც.

– რა მოხდა, ჯერ ხომ არ გამოჯანმრთელებულხარ სრულად, რატომ ჩქარობ ასე?!

ცოლმა არ უპასუხა და ფიქრმა გაიტაცა. მკაფიოდ წარმოიდგინა, რომ ქმარი, ამჯერად დანარჩენ აუსრულებელ თხოვნასაც მოაბამდა თავს და სახლში დაბრუნებულს დაახვედრებდა: იაპონურ მაცივარს, გერმანულ მტვერსასრუტს, ხორცის ფრანგულ ელექტროსაკეპს და სხვას.

ამ ტკბილი ოცნებით ჩაეძინა ბედნიერ დიასახლისს.

## ამ ცხოვრებაში

ვინ თხა მოიგო, ვინ ომი  
გასარკვევია ეს კიდევ,  
აღმოაჩინა ბინომი,  
ნიუტონმა თუ ევკლიდემ?!

## კნენა

ქურქი მოირგო – მოეძალა  
მელანქოლია,  
როცა გაიგო – უკეთესი  
მელას ჰქონია.

## შედარება

კარისკაცობა განა ნიშნავს  
ერისკაცობას?!  
ანდა ვინც მღერის როდი არის  
მართლა ბუღბუღი,  
კვერცხს თუ არა დებს ის ქათამი,  
ელის რა ცნობას,  
ტანზე, თუ მაინც, საბალიშე,  
არ აქვს ბუმბული.

## დიდი მართონი

სიცოცხლე დიდი მართონია,  
მრავალი ნიშნით, ბევრი ფირნიშით,  
ყველას თავისი სტარტი ჰქონია  
და თავისი აქვს ყველას ფინიში.

## სულ მოძრაობა

„მოძრაობა და მოძრაობა“ დევიზად  
მითქვამს,  
სიზარმაცეს კი ბავშვობიდან  
ვერ ვეგუები,  
აბა, რა საფრთხე ელოდება თავგისა, თუ  
ვირთხას,  
თუ კი ტოტებში გაუნძრევლად  
თვლემენ ბუები?!

## მინიჭემმარიტება

ვინც ვერ გებულობს – ალბათ ბავშვია,  
(არის უბრალო ჭემმარიტება):  
თუ ვერ ვიფერებთ – რაც გაგვაჩნია,  
მაშინ უარესს ეშმა გვაპირდება.

## აღლო

არ ჰქონდა ცოდნა,  
ტვინი და ნიჭი,  
დღესაც ბლუყუნით  
რაღაცას ბოღავს,  
სხვათა შეხედვით  
უაზრო ბიჭი,  
კარგად მოერგო  
დროსა და მოღას.

## დიდოსტატი

„...დამიჭირეს მკლავი მომჭრეს,  
რატომ კარგი ავივია“

**კონსტანტინე გამსახურდია**

ბრიყვი მზადაა მკლავი მოჭრან —  
— დაეძებს სახელს,  
(იქნებ, ოდესმე დიდოსტატად  
ვინმემ მონათლოს);  
ერთგული ხურო საშენებლად  
ნატრობდა ცხრა ხელს...  
შარავანდელით ხალხი მოსავს  
ისევ მონადმყოფს.

## გალიაში

გალიაში მომწყვედული ჩიტისთვის,  
აზრსა კარგავს ყოველგვარი ნუგეში,  
ურჩევნია აწვიმდეს და ათოვდეს,  
ნაწვალე და ნაჯახირებ ბუდეში.

## ბედი

ორლობებით, ბილიკებით,  
დაღმართ-აღმართით,  
რთულ სავალ გზაზე, ბევრს უმართლებს,  
ბევრს არ უმართლებს,  
ზოგი ოლიმპზე ამალღდება  
შმაგი აღმასვლით,  
ზოგს კი გვირაბის ბოლოს შუქიც  
არ გაუნათებს.

## განძი

გუთნის ხნულში დოქი ვნახე,  
ღვინისა, თუ არის წყლისა,  
გავუფროთხილდი, შევინახე,  
დამლა შევინის წინაპრისა...

## გორისციხე

როდი მშურს ფრანგის, ჩეხის, რუსის,  
ანდაც არაბის,  
(ზოგს კომკურა აქვს სალოცავი  
ზოგს კი სამარხი),  
მე არ დავუთმობ გორისციხის  
თაყვანს არავის,  
ყოველ დღით, რომ შევციცინებ  
გრძნობით ამაყით.

## საბედისწერო როლი

ნეტავ სიტკბოთი აივსებოდეთ,  
ცოლისთვის ქმარი, ქმრისთვის კი ცოლი,  
და არასოდეს არ გღირსებოდეთ,  
შვილებმომკვდარი მშობლების როლი.

## ორსახა

მარხვას იჭერს,  
ბავშვებს ნათლავს,  
ღმერთს ლოცულობს,  
აქებს ქრისტეს;  
არ ასრულებს  
სიტყვას ნათქვამს,  
არ დალოცავს  
ერთხელ სხვის ჭერს.

## ტანწერწეტა

ვიწრო ქუჩით მინარნარებს,  
ტანწერწეტა ქალი,  
ემშაკის გზას მიგაბარებს,  
თუ მოგტაცა თვალი.

## სიამაყე

სადღეგრძელოთა თქმაში,  
სიამაყეს ვგრძნობ მაშინ –  
საყვარელ მამულს როცა,  
სულით და გულით ვლოცავ.

## დანიშნულება

შევარცხვინე მე ის კევრი,  
კალოს რომ არ ხმარდება,  
ის ტიკჭორა და ის ქვევრი,  
შიგ რომ ღვინო ძმარდება.

## ჩემი მნათობი

სპეციალობებს აფასებენ მკაცრი იმიჯით,  
უამრავია, დაითვლება ალბათ ათობით;  
ასტრონომია შევისწავლე მხოლოდ იმ მიზნით,  
უძირო ცაზე მომეძებნა ჩემი მნათობი.



## აისბერგი

ერთ კაცზე მითხრეს მორიდებით,  
ჩუმი მხილებით:  
„რაც მიწაზეა – ხუთჯერ მეტი  
ქვეშ გვეგულება“;  
გეოგრაფიის გამახსენდა  
გაკვეთილები,  
ვიზებირებლით აისბერგის  
აგებულებას.

## ორი გროში

ვერ იხარა, ვერ იცხოვრა,  
კაცმა ორი გროშით,  
ვერც გუშინ და ვერ გუშინწინ,  
ვერც უძველეს დროში.

## ისტორიის ექო

რანდთა ყოფა იწერება  
ათას გვერდებად,  
დრო თუმცა გასულა, არ ვივიწყებთ  
დემეტრეს, ლამას,  
მათი ყიჟინა, ხმლის მოქნევა,  
ფართა ხეთქება,  
შეშურდებოდა ჩინმედლიან  
დღევანდელ მარშალს.

## მომღიმარი მასპინძელი

ვინც წარბის შეკვრით თადარიგს  
იჭერს,  
სიცოცხლეშივე იმზადებს  
მახეს,  
მე ვენაცვალე იმ კერას,  
იმ ჭერს,  
სადაც მასპინძელს უღიმის  
სახე.

## გარდუვალობა

მომავალში ვინც იქნება,  
ვინც იყო და ვინც არი,  
დაჭირდა და დაჭირდება,  
მხოლოდ ოთხი ფიცარი.

## ღირსეული წინაპრები

მოვინახულე საძვალეები ადამიანთა –  
ვისით,  
ქიციც ვისწავლეთ, გავითავისეთ და ქიცმაცურიც  
ვიციით,  
არ უმძიმდებათ ძვალსხეულები ღვთისგან ნაკურთხი  
მიწით,  
მამულისათვის, როგორც მიწაზე, იქაც შეკრულან  
ფიცით.

## უსასრულო ჯაჭვი

დაისის ჟამს ცის კაბადონს,  
მზე მოწყდა და ჩავიდა,  
გარიჟრაჟზე ყოველივე,  
დაიწყება თავიდან.

## გული მღერის

როს ვეცნობი გმიურლ ამბებს,  
(ავთანდილის, გულივერის),  
სიამაყე ბნელეთს არღვევს,  
სული ხარობს, გული მღერის.

## კვაზიჭეშმარიტება

ვერ მისწვდები მიუწვდომელს,  
ფხიზელი, გინდ მთვრალი,  
ისე როგორც მდინარიდან,  
ვერ ამოხვალ მშრალი.

## თაფლის სანთელი

სირცხვილი არსად ყოფილა შრომა,  
ალალი ლუკმის აუგი ვინ თქვას?!  
– ამაყად ხვლები ბზობას თუ შობას,  
სანთელიც თაფლის ფარფატებს დიდხანს.

## საზომი

რაც გიწერია, იმას ალბათ  
ვერ გაექცევი,  
ეს ასე იყო წარსულშიაც,  
როგორც ღლეს არის,  
მაღლა ასცურავ, თუ მოხლესავით  
ფსკერს მოექცევი,  
განვლილ ცხოვრების გასაზომიც  
სწორედ ეს არის.

## უფლისციხე

ეგვიპტეში ბევრი ვნახე – გილთან ერთად,  
იქ ივიწყებ, უნებურად, პირად მიზნებს,  
იცი ძმაო, ვალიარო მინდა შენთან –  
უფლისციხე მირჩევნია პირამიდებს.

## თვალეები

როცა მიცქერი, მეფერები –  
– გილიმის სახე,  
თვალტანადობით მაჯადლოებ,  
იტაცებ მზერას,  
ოჰ, ეგ თვალეები მიმზადებენ  
ვინ იცის მახეს,  
გუგის სიღრმიდან რალაც ავის  
აჩრდილი მზვერავს.

## დიდი ჩალიჩი

მსუყე ფლავის კეთებას,  
ყურძნის ტკბილი ჩამიჩით,  
(თუ კი ელი შექებას),  
უნდა დიდი ჩალიჩი.

## ამბიცია

ყველას თან სდევს (ბე არის თუ ასული),  
ხან ხიფათი, ხან შვება, ხან წვალება,  
კაცის საქმე მაშინ არის წასული,  
ამბიცია როცა მოეძალება.

## ბიჭავ

წყაროს ბილიკზე ვდგებოდი,  
სალამო ხანი ხდებოდა,  
გზად რომ არ შემფეთებოდი,  
კოკაც არ გამიტყდებოდა.

## ფორტუნა

ერთხელ ფორტუნამ მეც მომაპყრო  
ქველი თვალები,  
დაუყოვნებლივ გავისტუმრე  
ძველი ვალები.

## მამაკაცებს

ხუროს, ხარატს, მიწის მომვლელს,  
პელაგოებს, თერძებს, ღენდებს,  
მსახიობებს, პოეტ-მგოსნებს,  
ცოლშვილიანთ, ყოფით კენტებს:  
ნუ მოაკლებთ მანდლოსნებს  
ყვავილებს და კომპლიმენტებს.

## ბრა

ბრა ნისიად შევიძინე,  
მალაზია „წინანდალში“,  
თავი მეტად შევირცხვინე,  
არ ვყოფილვარ წინად ვალში.

## ფონი

მიქარვაა ყველა ფონი:  
ტელეფონი, გრამაფონი,  
პატეფონი, საქსაფონი,  
მიკროფონი, მეგაფონი.  
დიქტოფონი, ქსილოფონი,  
შიფონი თუ „სალდაფონი“ –  
მთავარია ცხოვრებაში,  
დროზე ჰპოვო შენი ფონი.

## შური

შურიან ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე,  
(კაცის გულში ჭიამ რატომ დაიბუდა?!),  
ცისარტყელა მოიშვილდა ჩემ ყანაზე,  
მეზობელი ბოლმით ლამის გაიგუდა.

## ქეიფი

უბრალო კაცმა როგორ ვაქო  
პომპეზურობა,  
ან „ხეჭეჭურას“ ვით ვადარო  
პანტა ტყიური,  
არ მიყვარს ქილით ღვინის სმა და  
მოკლე პურობა,  
ნამდვილ ქეიფში არის რაღაც  
ფანტასტიური.

## გახსოვდეს რომ...

აზრი არა აქვს შედაგებას უაზრო კაცთან,  
სისულელეა, თავს ურტყამდე ღიაღმყოფ კარებს,  
უნაყოფოა ბოდიალი უთაფლო სკასთან  
და ღალატია ბრიყვ სარდალს თუ მიანდობ ჯარებს.

## იმედი და უიმედობა

ძნელია ენლო, „დასწერო ჯვარი“,  
ვაიმძაკაცს, ან უიმედობარს,  
რადგან არ ვიცით სადა აქვს ზღვარი,  
იმედს, ან თუნდაც უიმედობას.

## ფოლკლორი

საუკუნეთა აღმრიცხველი თუ არის ვინმე,  
და ისტორიის ყადრი ვინმემ თუ იცის კარგად,  
აუცილებლად საამებელ დასკვნამდე მივლენ,  
რომ ფოლკლორია ეროვნულის ურღვევი ფარდა.

## ბორია და ექიმი

ექიმი ურჩევს ბორიას:  
მორჩეს უაზრო ბოდიალს,  
ხშირად შეჭამოს მაწონი,  
მერე წაიყვანს – აწონის.

## საბაზრო ეკონომიკა

ველარ კიაფობ პრინცივით,  
დახტიხარ, როგორც ფიგარო...  
ყიდვა-გაყიდვის პრინციპით  
თავს ძლივს ინახავ ჯიგარო!.

## სინათლე და ჩრდილი

თბილის-ქალაქი ადიდეს  
სიონის ანგელოზებმა,  
ხოლო წაბილწეს, აგინეს,  
ცირკის მიდამოს ბოზებმა.

## ტოტალიზატორი

აბითურებდა აპაჩებს,  
დოდის ტოტალიზატორი,  
დაიჭირეს და გაქაჩეს  
მისი ორგანიზატორი.

## ავარიული სიტუაცია

სამჯერ შექმნა – მგონია,  
სქემა ავარიული,  
დალეული ჰქონია,  
ლუდი „ბავარიული“.

## გრაცია

გამოსტყუა წვალებით,  
მოსკოვს ემიგრაცია –  
საფრანგეთის ქალების,  
მოსწონს ემილს გრაცია.

## გამღლეტი და ტაცია

უვარგისი კაცია,  
გამღლეტი და ტაცია,  
საქმით არის ცაცია,  
სულ ნილაბი აცვია,  
მგონი არ აქვს ნაცია,  
ფერმკრთალი და ბაცია,  
მადლისთვის ზარმაცია,  
სხვის ქორწილში ვაცია.

## მჭედელი

სულ გაყიდა, რაც რომ ჭედა მან დილით:  
ნალი, წალდი, თოხი, დანა, ბარები,  
ცოლს უყიდა აბრეშუმის მანდილი,  
ბევრიც სხვარამ მისი დანაბარები.

## მისი ხელი ერია

ჩქიმ ლავრენტი ბერიას,  
მტერი ვერ მოერია,  
როგორც ბევრგან წერია,  
შექმნა ბომბთა სერია,  
მსოფლიო დაზვერვაშიც  
მისი ხელი ერია.

## განსხვავებული

სასწაულთა საუკუნე ილევა,  
ღვინო, ღვინის ჭიქით აღარ ილევა,  
„განსხვავებულს“ ეძებს ბავშვიც პატარა,  
ისა კაცობს, ვინც ღრო სმაში ატარა.

## შაბათობა

ჯერ გადაწყვიტეს სხლომაზე,  
მერე კი სკვერებს მოედნენ,  
მტკერი ჩაყლაპეს ძლომაზე –  
ასუფთაებდნენ მოედნებს.

## ჭექა-ქუხილი

შავი ღრუბლების მეუფეს,  
ემშაკმა ნეტავ რა მისცა?!  
ჭექა-ქუხილი შეუქეს,  
ჩამოანგრია ლამის ცა.

## წისქვილი

ვინც რა უნდა თქვას,  
წისქვილმა კი ფქვას,  
ამ წისქვილის ქვას,  
ვერ მივანდობ ქმარს.

## ვაიმშენებელი

ქარებს და წვიმებს  
ვერ გაუძლო მისმა ნაშენმა  
თუმც სადღეგრძელო,  
მაინც შესვეს „ღირსმა“ „ნაშებმა“.

## კაცი და საქმე

უთქვამთ, თურმე, ქურთთა კერპებს –  
შრომა არის რა კარგი,  
კაცი ვარგობს, თუ აკეთებს  
საქმეს ხალის–რაკრაკით.

## ვალი

აღფრთოვანების წუთს ვხვდები,  
თუ ნაყოფს მაძლევს მარცვალი,  
ძლიერ განვიცდი, ვწუხლები,  
როდესაც სხვისი მაქვს ვალი.

## ხსოვნა

არა გაჰყვება ჭმუნვად და ღარღარად,  
სიკეთით სავსე მხნე და მაგარ გულს...  
განვლილი ყოფა, თუ გვანსოვს კარგად,  
იოლად ვნახავთ გზა-გზა დაკარგულს.

## უხმო სიკეთე

რა გვალამაზებს,  
ალგვამალლებს,  
უხმობს, იმედებს?  
– ღვთით ნაბობები,  
უანგარო,  
უხმო სიკეთე.

## არ მივეჩვიოთ ლოგინს

მოგვიკაკუნებს „ის“ ხმა,  
არავინ იცის – როდის...  
ღმერთმა გვაცოცხლოს დიდხანს,  
არ მივეჩვიოთ ლოგინს.

## ხეხილი

განა მხოლოდ მე მიყვარს,  
შენ გიყვარს,  
მას უყვარს  
– ეს ხილი?!

მთავარია იცოდე,  
გინდოდეს,  
ახარო  
– ხეხილი!

## ღვთის მადლით

გზატკეცილს კვეთავდნენ ბავშვები...  
მუსრუჭმა „გაუგო“ მესაჭეს,  
ძლივს ამოისუნთქა მან შვებით  
და მადლი შეუქო ზეცა-ჭერს.

## გალაკტიონი

ქართული მუდამ მძლავრობდა მესხში,  
ივერთ ჯიშს მადლი ახლდა სიონში,  
გალაკტიონი არის მის ლექსში,  
თვით ლექსი იყო გალაკტიონში.

## ასაკოვანის ფიქრები

ბავშვობის ხსოვნა გზად რომ დავეყოთ,  
სათაყვანები რაღა დაგვრჩება?!  
მითუმეტეს რომ სულ სხვა სამყარო  
თავისკენ გვითრევს და გვექაჩება.

## ვარდბულბულიანი

გაზაფხულდა ბარში (მისებრ),  
ბულბული კი არ ჩანს ღერად,  
გაიშლება ვარდი ისევ,  
თუ კი სატროფომ არ უმღერა?!

## ფაფუკი თითები

დანაოჭებულ, დაღარულ სახეს,  
ბევრი ჭირის და ცრემლების მნახველს,  
მატებს სიცოცხლეს, კვებავს იმედით,  
პატარა ბავშვის ფაფუკ თითებით  
მოთათუნება სიბერის „გრიმის“ –  
ვით დამსკდარ მიწას წვეთები წვიმის.

## სიხარბე

სიხარბე თავზე გვასხამს შავ ტლაპოს,  
(ყოფას ნუ ვაქცევთ არდადეგებად),  
მჯერა, ის ლუკმა უნდა ჩავყლაპოთ,  
რომელიც ყელზე არ დაგვადგება.

## პესიმისტური განწყობა

ვერ აღუდგება, გარდაუვალს,  
თუნდაც გოდება,  
ბუნების კანონს ეპუება  
შემძლეც, ღარიბიც,  
გასავლელი გზა ვიწროვდება  
უცბად მოკლდება,  
და თვითეულიც დაიჩოქებს  
რქებმძლე ხარივით.

## მწყემსი

შრიალებენ, ჩურჩულებენ ტირიფები,  
და მოისმის მოლალურას გალობა,  
დაიღალა მწყემსი ბიჭი სტვირის ქებით –  
ხოტბას ასხამს თუმი ქალის ქალობას.

## ჭაბუკი მეფე

ჯერაც ყმაწვილს დაულოცეს და უბოძეს:  
ჯვარ-გვირგვინი, სკიპტრა, ხმალი, სამაჯური,  
სიბრძნეც უთხრეს – მოერიდე აუგ მოძმეს,  
დამპყრობელიც გვახვევია სამას ჯურის.

## ეს ასეა

შეუჩერებლად მთა-ბარის თოვა,  
თუ კი გვიხატავს ზამთარის სურათს,  
ნაოჭების და ჭაღარის გროვა,  
უღაო სიბრძნე არ არის სულაც.

## ახალი დრო

ვარსკვლავები ციმციმებენ გროვებად,  
ცარგვალ ცაზე, – არა წითელ აღმებზე,  
ჩამომდგარა ახლა სულ სხვა დროება,  
ბჭობა მიდის რალაც უცხო ამბებზე.



## უძილობა

რადაც, არ მახსოვს ასეთი რამე –  
არ მძინებოდეს მე მთელი ღამე...  
ალბათ, მას შემდეგ, რაც შემეყვარდი,  
შემომეჩვია უძილო დარდი.

## ხილული მხარე

ციურ სხეულთა შორის,  
ცდომილი მომწონს ორი,  
დედამიწა და მთვარე,  
მათი ხილული მხარე.

## ქონება და გონება

ყველას ვუსურვებ ბევრი ჰქონდეს  
ოქრო-ქონება,  
არ დაეხავსოს, დაებინდოს  
ოღონდ გონება.

## ხუთი წუთი

საათობით ელის ტრანსპორტს  
(მართლაც გაგიკვირდება),  
მაშინ, როცა ფეხით მისვლას  
ხუთი წუთი სჭირდება.

\* \* \*

ბრაზა-ბრუნის, ჟღარა-ჟღური,  
ტაკი-ტუკი!  
სხვა რამ ხმა და სხვა რამ ჰანგი  
არ ისმოდა,  
უნდა გაძლო, გაიჭირვო,  
რაკი, თუკი,  
ეს „მუსიკა“, დღესდღეობით,  
არის მოდა.

\* \* \*

ხურობის კარგად ფლობა  
ოდითგანვე თუკი მოგვწონს,  
სპორტკომპლექსის მშენებლობას  
რატომ ვეკითხებით მოსკოვს?

## ბუმი

აღარ გვაკვირვებს ყამირის მიწა,  
და არც ეგვიპტის ძველი მუმია,  
დღეს ყველა ხედავს, ისურვებს ვინცა,  
ნარკოტიკის და სექსის ბუმია.

## სამი ჭეშმარიტება

შოთიპურს ვერ გამოაცხობ  
ლომის ფქვილით,  
ისე, როგორც მკვდარი  
არ გაცოცხლდება,  
„ფეხის თითზე თუ დაისვი  
ლორის ტილი,  
უეჭველად თავზე  
აგაცოცდება“.

## ვესტერნფილმის შთაბეჭდილებით

მტვრიან გზაზე მიგრუსუნებს  
ფეთიანად,  
ფოსტის ფულით დატვირთული  
დილიჟანსი,  
განგსტერებმა, რომ გაძარცვონ  
ერთიანად,  
დაიჯერეთ – არის ამის  
დიდი შანსი.

## მხიარული რითმები

\* \* \*

უნდა ჭამო კალციუმი,  
რომ არ იყო კაცი უმი.

\* \* \*

რეალურად შეაფასა ალიანსი,  
ასე ფიქრობს - გამარჯვების  
არის შანსი.

\* \* \*

არ აჩვენეს ბაზილიკა,  
ლამის გასკდეს ბრაზით ლიკა.

\* \* \*

ისე დადის ფაჩულია,  
თითქოს ფოთლის ფაჩუნია.

\* \* \*

სურს, რომ ეწვიოს  
კალიფორნიას,  
იქ, თურმე ზღვისპირს კარგი  
ფონი აქვს.

\* \* \*

მუსიკა ჟღერს კამერული,  
მოერია კალეს რული.

\* \* \*

თუ სად მღერის ელვის პრესლი,  
ცნობას ყველა ელის პრესით.

\* \* \*

კონცერტს ვმართავთ  
ტაშისკარში,  
ხალხი დაწყდა ტაშის კვრაში.

\* \* \*

მანქანა, რომ შევიძინე  
ტოლიატში,  
როდის იყო? - „ტოლი“ ცხრაში,  
„ტოლი“ ათში.

\* \* \*

წყლის ამღები ოწინარი,  
დააფასეს ოცი ლარი.

\* \* \*

მილელს ეძებს არამისი,  
სხვისია და არა მისი.

\* \* \*

თუმც ჰკიდია პატრონტაში,  
შიში უვლის პატრონს ტანში.

\* \* \*

აზრი არის გავაშეღის,  
რომ ცხენს კოსტა გავა შევინის.

\* \* \*

ცუდად შემხვდა მანჩესტერში,  
ავერიე მას მე მტერში.

\* \* \*

დაგვიღონდა გარეგინა,  
შეახვედრეს გარე ბინა.

\* \* \*

ადრე ადგა ფარსადანი,  
ცხვარ-ბატკანი პარსა დანით.

\* \* \*

შენ ვერაფერს ვერ დაგაკლებს  
ქარტეხილი,  
თუ გენებით და ბუნებით ხარ  
კეთილი.

\* \* \*

მთელ შენობას აზანზარებს,  
თუ შემოკრა აზამ ზარებს.

\* \* \*

არ სჭირდება დისკუსია,  
რომ ჯავშანი ზღვის კუსია.

\* \* \*

დაეწევა ფოსტალიონს,  
თუ გაცურავს კოსტა რიონს.

\* \* \*

მთელი დღე სვამს მიკიტანი,  
რუმბს წააგავს მისი ტანი.

\* \* \*

დღეს ბულბული დარდიმანდობს,  
გულის ნადებს ვარდი ანდობს.

\* \* \*

აფრთხილებენ კარტოზიას,  
გაყენებსო კარტი ზიანს.

\* \* \*

თოფის სროლა არ უყვარდა  
ფალიაშვილს,  
ამიტომაც ჩამოართვა ფალია  
შვილს.

\* \* \*

მაშინ უქეს ნაკელს მადლი,  
როცა მასში ნახეს მატლი.

\* \* \*

ვერ მიუდგენ სათოფეზე,  
ამძვრალიყო საქო ხეზე.

\* \* \*

გაახარეს კარდინალი,  
ცხენს მოურგეს კარგი ნალი.

\* \* \*

ფილმი არის ჰოლივუდის,  
ყველა ბინას ბოლი უდის.

\* \* \*

მიწის სვანში გაიხარებს,  
ვინც გამოზრდის კაი ხარებს.

\* \* \*

მეკუბოე ვერა გუობს  
არამზადებს,  
თუ კვდებიან, მათთვის კუბოს არ  
ამზადებს.

\* \* \*

ბედი სწყალობს კაფელნიკოსს,  
მუდამ უგებს კახელ ნიკოსს.

\* \* \*

ფენმძიმეა მარტინესი,  
მოინდომა მარტში ნესვი.

\* \* \*

არ აწუხებს ლურსმანაშვილს,  
რა აჭამოს რუსმა რვა შვილს.

\* \* \*

წაბარბაცდა შუმახერი,  
მიაშველა შურამ ხელი.

\* \* \*

წუხს რომ ცხოვრობს მრუდ  
ხანაში,  
დარდს იქარვებს ლუღხანაში.

\* \* \*

ლუმელს წმენდენ ანანურში,  
თითი ჩაყო ანამ მურში.

\* \* \*

დარდი მოჰკლავს სამანიშვილს,  
ჭკვა ეწვევა სანამ მის შვილს.

\* \* \*

დღესაც უკვირს კარტოზიას,  
რით გვაყენებს კასტრო ზიანს.

\* \* \*

რუსი ბომბავს ომალოს,  
ფაქტს კი ცდილობს, რომ  
მალოს.

\* \* \*

დააკავეს ასტრახანში,  
შიშისაგან გასცრა ტანში.

\* \* \*

გადავბარე მინდორ-ველი,  
მომავალსაც მიტომ ველი.

\* \* \*

რეისია ჩარტერული,  
თვითმფრინავს აქვს მჩატე  
რული.

\* \* \*

გამოაცხო სეფისკვერი,  
გადაჰკრავდა ზეთის ფერი.

\* \* \*

დიდი საქმე კალანდაძემ,  
მიიყვანა გალანძვამდე.

\* \* \*

უნდა იყო მუშეკეტერი,  
ვერ გიქნევდეს მუშტებს მტერი.

\* \* \*

ხომ მოირგე სავარძელი,  
უფრო „ზევით“ სავალს ელი?

\* \* \*

არ სცალიათ სანიტარებს,  
აცრის კურსებს სხვა  
გვიტარებს.

\* \* \*

მღერის ძლიერ ბარიტონით,  
სურგულაძე ხარიტონი.

\* \* \*

ჩიტი ბუდეს იქ იკეთებს,  
სადაც ბარტყი ისიკეთებს.

\* \* \*

ქურდობისთვის არიზონა,  
სახიფათო არის ზონა.

\* \* \*

აქვს ნაქები ტუალეტი,  
თავმოყვარე თუა ლელი.

\* \* \*

ვენახს უხრავს ფილოქსერა,  
ძნელი არის ფიდოს ცქერა.

\* \* \*

ვერ დაჯაბნეს გოლიათი,  
დაეჭიდა მგონი ათი.

\* \* \*

რა არ ვნახე ესპანეთში,  
ამერია ერთმანეთში.

\* \* \*

ანსამბლია გარდაბანის,  
ყველა ხმა ჰყავს, გარდა ბანის.

\* \* \*

ბედი არ აქვს ჭიჭიკიას,  
ბუნებრივი ნიჭი კი აქვს.

\* \* \*

ხილვა თუ გსურს კართაგენის,  
დილიყანსი კართან გელის.

\* \* \*

ეჭვი შეაქვს ბულალტერში,  
ფულს მალავსო ბუსჰალტერში.

\* \* \*

რომ იცნობდნენ „კაი ჩიტად“,  
ცივ საკანში „გაიჩითა“.

\* \* \*

სულ დაიბნა ორატორი,  
სიტყვა ძლივს თქვა ორად ორი.

\* \* \*

რომ აიდგა ლადომ ფეხი,  
მოიარა ლაგოდეხი.

\* \* \*

მალა ჰქონდა ბახმაროში,

ბლომად ჭამა ბახმა ღოში.

\* \* \*

ვერ პასუხობს სარდიონი,  
სად მუხტია, სად იონი.

\* \* \*

თავს იკლავდა შევარდნაძე,  
გაეროში შევარდნაზე.

\* \* \*

ბალს უვლიდა კომისარი,  
სულ დაარჯო ორი სარი.

\* \* \*

აბი არჩენს მალარიას,  
ფასი მგონი რვა ლარი აქვს.

\* \* \*

მოიარა სინგაპური,  
ძლივს იყიდა ინგამ პური.

\* \* \*

შვილიშვილი ბალანჩინის,  
კაცი არის მალალ ჩინის.

\* \* \*

მწვადს უკვეთავს ადილარი,  
ჯიბეში აქვს ათი ლარი.

\* \* \*

ჩატარეს კარნავალი,  
დაუგროვდათ კარგა ვალი.

\* \* \*

ალარ შედგა პარაკლისი,  
იყო მრევლის დანაკლისი.

\* \* \*

წაუკითხეს მოპასანი,  
ინტიმ-ამბებს მოყვა სვანი.

\* \* \*

ტანწერწეტა ქორფა ლიზას,  
კვლავ აძლევენ ორმაგ ვიზას.

\* \* \*

გაემგზავრა მაროკოში,  
თან წაიღო მარომ კომში.

\* \* \*

შველა უნდა ზარანდიას,  
ვერვინ აძლევს გარანტიას.

\* \* \*

მალე წავა ტოლიატში,  
ბილეთი აქვს მგონი ათში.

\* \* \*

იგვიანებს ვახანია,  
ჯგუფი ელის რა ხანია.

\* \* \*

მუსიკოსი დონიცეტი,  
არ ყოფილა მგონი ცეტი.

\* \* \*

უვიცია განათლებით,  
ოჯახს არჩენს კამათლებით.

\* \* \*

მექარაგნე ყარა-ყუმის,  
ამჯობინებს არაყს კუმისს.

\* \* \*

მეზობელი გორგიშელის,  
წყენისათვის ბოდიშს ელის.

\* \* \*

ამ მუშკეტერ დარტანიანს,  
ნახეთ ერთი, რა ტანი აქვს.

\* \* \*

კაცსა ვცემე ვარციხეში,  
იმის შემდეგ ვარ ციხეში.

\* \* \*

პატარაა პაკისტანი,  
ისე როგორც კატის ტანი.

\* \* \*

რომ დაბომბეს არგენტინა,  
გული რატომ არ გეტკინა?

\* \* \*

შესასვლელში შულავერის,  
მეზობელი შურა მელის.

\* \* \*

საზიარო ბროწეული,  
ჯერ არ არის მოწეული.

\* \* \*

აჩვენებდა მონიტორი,  
რომ დათვს მოჭრეს ორი ტორი.

\* \* \*

ქოხი დადგა ფარღალაღა,  
ნეტავ ასე რამ დაღალა?

\* \* \*

გრძნობები აქვთ ფიქციური,  
აქ მერაბის, იქ ციურის.

\* \* \*

ჩრდილში დაჯდა თალაკვაძე,  
ლორის ხორცი თალა ქვაზე.

\* \* \*

გადიხადა ქმარმა ცენტი,  
გაისტუმრა ფარმაცეპტი.

\* \* \*

მივდიოდი ტურბაზაში,  
გოგო შემხვდა ტურფა გზაში.

\* \* \*

მსახიობი რიჩარდ გირი,  
იმით ცოცხლობს, რითაც გმირი.

\* \* \*

კონკურსებზე ვაიკულებს,  
კვლავ უწერენ კაი ქულებს.

\* \* \*

ნიჭი უნდა ხელოვნებას,  
ის არ არის შენ რომ გნებას.

\* \* \*

ნიჩბით ხვეტდა ბურბუშელას,  
თან ითხოვდა ბუღუშელას.

\* \* \*

რომ არ ნახოს მონტე კარლო,  
დარდით მაშინ მოკვდეს კარლო.

\* \* \*

წიგნში ჩართეს ტოლიატი,  
გაიბერა ფოლიანტი.

\* \* \*

გოლკი პერი კარბახალი,  
ნაკრებშია კარგა ხანი.

\* \* \*

მადა ჰქონდათ სარკინოზებს,  
დააკისრეს ხარკი ბოზებს.

\* \* \*

ყალბი შეხვდათ ყაზილარებს,  
არაჰქონდა ხაზი ლარებს.

\* \* \*

ჭრელ საკაბეს ქსოვდა გარი,  
შემკვეთია სოვდაგარი.

\* \* \*

ცოლს გაშორდა ჩუბაისი,  
გაიყოლა შუბა მისი.

\* \* \*

ოც წელს მართა რაიონი,  
თქვა - „ყოფილა რა იოლი“.

\* \* \*

რაფიკ ვართაპეტიანი,  
არის მართლა ფეთიანი.

\* \* \*

წვერი ჰქონდა მოშვებული,  
დარღს ებრძოდა მოშეს გული.

\* \* \*

სურათს ხატავს ამბროსიჩი,  
„ტუფტა“ არის ამბობს ზიჩი.

\* \* \*

მანქანა მიჰყავს რობინზონს,  
არაფრად აგდებს ღობის ზოლს.

\* \* \*

ვეფხვმა აზიდა ულვაში,  
ხორცი გაუშვა ბრუნვაში.

\* \* \*

ზღვის პირზე იჯდა ზაური,  
თმას უწეწავდა ზღვაური.

\* \* \*

მშრომელმა გლენმა კოწიამ,  
სახლი ააგო კოპწია.

\* \* \*

არ უფროსილდება მურა ყბებს,  
და ამიტომაც მუდამ ყეფს.

\* \* \*

დაჩანაკადა არისტო,  
ასაკით უკვე არის „სტო“.

\* \* \*

ტირში ისროდა საქულა,  
ძლივს შეაგროვა ცხრა ქულა.

\* \* \*

პატივი ეცი სამართალს,  
გამოითხრიდე სანამ თვალს.

\* \* \*

მ ართლაა გასაკვირველი,  
ის როგორ გახდა პირველი.

\* \* \*

ნეტავ რამ გაახალისა,  
ფული არა აქვს სვალისა.

\* \* \*

თუ ეკითხები ვირს ნებას,  
საფრთხეში იგდებ ღირსებას.

\* \* \*

იმიტომ მიყვარს ჰოფმანი,  
რომ არ სჩვევია ყოყმანი.

\* \* \*

გამოუხურეს ოსს კარი,  
არ მიანიჭეს „ოსკარი“.

\* \* \*

იყო ომების „მასტერი“,  
ვერას აკლებდა მას მტერი.

\* \* \*

მკაცრად უბრძანეს კულაკებს,  
ჩვენ გადმოგვცემთო ულაყებს.

\* \* \*

დაასხი „ალადასტური“,  
რად გვინდა ალას დასტური.

\* \* \*

ხბო რომ გყავს ხარაგაულში,  
გაზარდე, ხარად გაუშვი.

\* \* \*

კურსზე სტოვებენ რაფიკას,  
რადგან ვერ სწავლობს გრაფიკას.

\* \* \*

„ზემოთ“ დანიშნეს იაგო,  
ყველამ პატივი მიაგო.

\* \* \*

ემდურებიან ნიკოლსონს,  
პატივს რომ არ სცემს ნიკოს  
ცოლს.

\* \* \*

ხშირად აკითხავს სტალონე,  
ფეშენებელურ სალონებს.

\* \* \*

დიდხანს შემოვრჩი გაგრაში,  
ცოლს აუტეხავს განგაში.

\* \* \*

ნარდში დამარცხდა კახელი,  
უცბად წააგო რვა ხელი.

\* \* \*

ვიწრო ოთახი დალაქის,  
ბირჟად ქცეულა ქალაქის.

\* \* \*

ფოთელი ელო მანია,  
ნამდვილი მელომანია.

\* \* \*

ფული მოიგო ყომართ,  
სახლში მივიდა ტომართ.

\* \* \*

დავხარჯე ბოლო კაპიკი,  
შეწყდა ქეიფის გრაფიკი.

\* \* \*

დღეს უნაკლოა ფაცია,  
მოდური კაბა აცვია.

\* \* \*

კონცერტებს მართავს პიაფი,  
ბილეთებია იაფი.

\* \* \*

გულდასუსტებულ ამბაკოს,  
უთხრეს: „შეეშვი თამბაქოს!“

\* \* \*

მოსწავლემ ვერ თქვა სათქმელი,  
სად წილადა, სად მთელი.

\* \* \*

არად თვლის წითელ  
ბურთულებს,  
რაც ჯანმრთელობას  
ურთულებს.

\* \* \*

თოფი ნაყიდი ტულაში,  
ააგრიალეს კულაშში.

\* \* \*

ყაჩაღი თუ ჩანს შარაზე,  
ჭიშკარი კარგად ჩარაზე.

\* \* \*

ესტრადის გმირმა სინატრამ,  
სავსე დარბაზი ინატრა.

\* \* \*

ნაკვეთი მომცეს ნავთლულში,  
სესხად მიცემულ ნაღდ ფულში.

\* \* \*

აზრზე არ არის ხაჩიკა,  
როგორ შეჭამოს აჯიკა.

\* \* \*

მექანიკოსი, ხალვაში  
ხან ბათუმშია, ხან ვანში.

\* \* \*

„პატარა კახი“ კახელებს,  
მედგარ ბრძოლისთვის ახელებს.

\* \* \*

კაცი აჩეხა რაპირით,  
მის ცოლს შეხედოს რა პირით?

\* \* \*

დასუსტდა ვანის „სულორი“,  
მატჩი მოიგო სულ ორი.

\* \* \*

წყალი მიართვა მამამთილს,  
უყვარს, საკუთარ მამად  
თვლის.

\* \* \*

არ მიაკარა მაგიდას,  
პატივს არა სცემს მაგი დას.

\* \* \*

ბრწყინვალე თარჯიმანია,  
ფოთელი გევანჯი მანია.

\* \* \*

ვლადიმერი ვისოცკი,  
უყვარს - ვკითხვ ვისაც კი.

\* \* \*

თავს რომ დაესხნენ  
სართიჭალაში,  
მაშინ დამალა ნართი ჩალაში.

\* \* \*

ქადაგებდა რუხველტი,  
ესროლეთო რუსს ბელტი.

\* \* \*

წარმოიშვა წისქვილი,  
სიტყვებიდან წყლის ფქვილი.

\* \* \*

ტახი შეხვდა შამბნარში,  
ჩაისვარა შარვალში.

\* \* \*

უყვარს სუფრის გაშლა მას,  
პატივისა სცემს ხაშლამას.

\* \* \*

კაცი იჯდა წისქვილში,  
ცხვირსა ყოფდა სხვის  
ფქვილში.

\* \* \*

უწყლოდ დარჩა წყალტუბო,  
ველარ ქჩავს წყალს ტუმბო.

\* \* \*

წარმტაცია ოდესაც,  
იქ ვსწავლობდი ოდესღაც.

\* \* \*

რუქას უჯდა ვერ გაუგო  
მასშტაბი,  
ცოტა ხანში აუფეთქეს მას  
შტაბი.

\* \* \*

კომპოზიტორ ლალიძეს,  
დილით ჩიტი აღვიძებს.

\* \* \*

ფიცი მისცეს ერეკლეს,  
მტერს შუბები მერე კრეს.

\* \* \*

დღეს მოელის საცოლეს,  
თვალი ჰკიდა საწოლებს.

\* \* \*

ვერ გაიგებ კაცია თუ კაცუნა,  
დასაღეჭი კევი გაატკაცუნა.

\* \* \*

ვინც ვერ შეაქო მანდილოსანი,  
ის არ ყოფილა ნაღდი მგოსანი.

\* \* \*

სიკვდილამდე მერიაში ირბინა,  
მაგრამ მაინც ვერ მიიღო ის  
ბინა.

\* \* \*

სალამომდე კამათობდნენ  
ყასბები,  
თუშია თუ მთიულია ყაზბევი.

\* \* \*

გამოვალე სეიფი,  
გაიმართა ქეიფი.

\* \* \*

ვერ გაიყვეს კალეიდოსკოპი,  
და დაასვა კალემ ილოს კოპი.

\* \* \*

მიღწევა მეცნიერისა,  
სიამაყეა ერისა.

\* \* \*

რადგანაც ფასობს დანა შაური,  
მიტომ მომრავლდა დანაშაული.

\* \* \*

დაიჭირეს დაშნაკი,  
თოფი არ აქვს, დაშნა კი.

\* \* \*

ააშენა მონასტერი,  
მაინც ჰყავდა მონას მტერი.

\* \* \*

მთას წავიდა ელიზბარი,  
მის მშრომელ ხელს ელის  
ბარი.

\* \* \*

მათე ისე ჰგავს სპირიდონს,  
როგორც პატარა სვირი - ბონს.

\* \* \*

ძლიერ მოუხდა მადაგასკარი,  
აღარ ემღურის მადას კასპარი.

\* \* \*

სულ არ არის კატასტროფა,  
ლექს თუ დაწერ ათას  
სტროფად.

\* \* \*

ბოდიშით თავს ვერ უშველა,  
ყველამ აგინა უშვერად.

\* \* \*

შეჯიბრებაზე იყო მილანში,  
ზუსტად ესროლა ილო მიზანში.



## ს ა რ ჩ ე პ ი

მეორე კლასი .....	3
ალავერდი მოქანდაკეებთან .....	3
პრიმიტივიზმი თუ ფანტაზიის დეფიციტი? .....	5
*** რჩევა ჭიანჭველას .....	5
წიგნი .....	6
*** გორის საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის სამსახურს .....	6
*** ამბიციური ადამიანი .....	6
საბრალო მემწვანელები .....	7
*** მსოფლიოში უსამართლობის მოზღვაგება .....	7
ასოცირებული ტკივილი .....	8
*** მწარე კრიტიკა .....	8
ლანჩსუთური .....	8
*** უკულტურო ადამიანი .....	9
*** გზის ფენომენი .....	9
*** სამართლიანი კრიტიკა .....	9
ქართული ენა .....	9
თელავის მატარებელში .....	10
ავიასალაროსთან .....	10
ბოლოკისფერი .....	10
ელექტროენერგიის დეფიციტის დროს .....	11
ვისი მხრიდან? .....	11
ჯიუტი ნინო .....	11
რატომ არ კვდება? .....	12
გამყიდველი არ დაიბნა .....	13
სალაროსთან .....	13
დაბადების დღე .....	14
ხანშიშესული .....	15
მიყვარს .....	15
რატომ დაგვიანა .....	15
უცნაური .....	16
ხელფასი მოემატა .....	17
საყვედური .....	17
ტრაგედია .....	18

საპონი ფრონტიდან .....	18
რეფლექსი .....	19
ხეთისო და დათვი .....	20
სიყვარულის დამტკიცება .....	21
სადღეგრძელო განთიადისას .....	23
უვარგისი .....	24
ილბალიც და დაკვირვებულობაც .....	24
ექსპერიმენტი .....	25
მერცხლები .....	26
რალაც უნდოდა ეთქვა .....	28
ხურდა .....	29
დრომ მოიტანა, თუ .....	29
მაჯღაჯუნა .....	30
ორი ასმანეთიანი .....	31
თოვლი .....	32
ექიმი და პაციენტი .....	33
ანონიმი .....	34
ეს მკრეხელობაა, ძმებო .....	35
ნეტავ ახლო ვყოფილიყავი .....	36
საოცრება - რამდენი? .....	37
მოვიპარე ჩემი(!) წიგნი .....	38
ფაქტია .....	38
ტყემალი .....	39
დიდი ტრაგედიის მცირე ნაწილი .....	39
ასე „ვმდიდრდებოდით“ .....	40
*** მოხუცი ქალი .....	40
როგორ მოგწონთ?! .....	41
ვინ, სად, როდის?! .....	41
დალოცვა თუ წყევლა .....	42
სიძუნწე .....	42
ხუთი შეგონება .....	43
გაგება .....	43
მობილური .....	44
ნაცვალსახელებით საუბარი .....	45
დაბადების დღე? .....	46

მოდური ვარცხნილობა და ჩვევა .....	46
მიკვირდა .....	47
მწერი?! .....	48
რეკლამა თუ ანტირეკლამა? .....	48
ქვაბი .....	49
მზესუმზირა .....	49
კალენდრიდან გამომდინარე .....	50
დაკვირვების შედეგი .....	50
გასაკვირი ფაქტი .....	51
განცხადებები .....	52
თავიდათავი .....	52
ცისფერთავმლიანი .....	53
საოჯახო ჯიხურში .....	53
ვა-ბანკი .....	55
განაწყენებული შვილი .....	55
ხომ არ გეშინია .....	56
მეორე ოპერაცია .....	57
ამ ცხოვრებაში .....	58
კნეინა .....	58
შედარება .....	58
დიდი მართონი .....	59
სულ მოძრაობა .....	59
მინიჭემმარიტება .....	59
ალოო .....	60
დიდოსტატი .....	60
გალიაში .....	61
ბუდი .....	61
განძი .....	61
გორის ციხე .....	62
საბედისწერო როლი .....	62
ორსახა .....	62
ტანწერწეტა .....	63
სიამაყე .....	63
დანაშნულება .....	63
ჩემი მნათობი .....	63

აისბერგი .....	64
ორი გროში .....	64
ისტორიის ექო .....	64
მომლიმარი მასპინძელი .....	65
გარდუვალობა .....	65
ღირსეული წინაპრები .....	65
უსასრულო ჯაჭვი .....	66
გული მღერის .....	66
კვაზიჭემმარიტება .....	66
თაფლის სანთელი .....	66
საზომი .....	67
უფლისციხე .....	67
თვალები .....	67
დიდი ჩალიჩი .....	68
ამბიცია .....	68
ბიჭავ .....	68
ფორტუნა .....	68
მამაკაცებს .....	69
ბზა .....	69
ფონი .....	69
შური .....	70
ქეიფი .....	70
განსოვდეს, რომ .....	70
იმედი და უიმედობა .....	71
ფოლკლორი .....	71
ბორია და ექიმი .....	71
საბაზრო ეკონომიკა .....	71
სინათლე და ჩრდილი .....	72
ტოტალიზატორი .....	72
ავარიული სიტუაცია .....	72
გრაცია .....	72
გამლევტი და ტაცია .....	73
მჭედელი .....	73
მისი ხელი ერია .....	73
განსხვავებული .....	74

შაბათობა .....	74
ჭექა-ქუხილი .....	74
წისქვილი .....	74
ვაიმშენებელი .....	75
კაცი და საქმე .....	75
ვალი .....	75
ხსოვნა .....	75
უხმო სიკეთე .....	76
არ მივეჩვიოთ ლოგინს .....	76
ხეხილი .....	76
ღვთის მადლით .....	77
გალაკტიონი .....	77
ასაკოვანის ფიქრები .....	77
ვარდულებულიანი .....	77
ფაფუკი თითები .....	78
სიხარბე .....	78
პესიმისტური განწყობა .....	78
მწყემსი .....	79
ჭაბუკი მეფე .....	79
ეს ასეა .....	79
ახალი დრო .....	79
უძილობა .....	80
ხილული მხარე .....	80
ქონება და გონება .....	80
ხუთი წუთი .....	80
*** ბრახა-ბრუხი .....	81
*** ხურობის კარგად ფლობა .....	81
ბუმი .....	81
სამი ჭეშმარიტება .....	82
ვესტერნფილმის შთაბეჭდილებით .....	82
მხიარული რითმები .....	83